რუსეთის სოციალდემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კვირა, 17 სექტემბერი 1917 წ.

ერთობა

ფასი 12 კაპ.

ხელის მოწერის ფასი: ერთი თვით 2 მან. 60 კაპ., ორი თვით 5 მ. 20 კ., სამი თვით 7 მან. 80 კ., ოთხი თვით 10 მ. 40 კ. ცალკე ნომერი ყველგან 12 კ. საზღვარ-გარეთ ორჯერ მეტი. განცხადების ფასი: პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი—30 კაპ., მეოთხე გვერდზე—15 კაპ. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივი ზომის 6 მ. საჩქარო განცხადება უნდა მოიტანონ იქნას არა უგვიანეს დილის 11 ნახ. საათისა. ხელმოუწერელი წერილები არ იბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ-მოწერას კისრულობს.

ხელის მომწერლებმა ფული ფოსტით უნდა გამოგზავნონ: Тифлисъ почтов. ящ. 193. Редакц. „Эртоба". სხვა ადრესით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.

რედაქციაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება 10—12 საათამდე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პროსპექტი № 12. Тифлисъ Головинскій проспектъ № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 148 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალდემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა. № 148

დამწუხრებულნი დედა ქრისტინე და ძმა ნოე ჟორდანიები, მეუღლე ვასილ კანდელაკი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ გარდაცვალებულის

გულჩინა კანდელაკისა

ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი, მოხდება 17 ამ თვეს კვირას, ქ. ლანჩხუთში.

გულდათუთქულნი ყარამან გიტოს ძე ნინიძე შვილებით: ვლადიმერი, თამარა, ბაბორა, ანატოლი და შალვა აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ქალ. ბათუმში, ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა პირველის ძვირფასი მეუღლე და დანარჩენის საყვარელი დედა

იულიტა აქსენტი ასათიანის ასული ნინიძისა.

მიცვალებულს წაასვენებენ სოფ. ასკანაში (გურია). (3—1)

სეზონის დასაწყისი.

ქ. ი. ზუბალაშვილის სახ. ქალაქის სახ. სახლი. სახ. სახლ. არს. ქართ. წარმ. მართ. წრე.

კვირას 17 ენკენისთვეს 1917 წელს.

I

მაღაროს უფროსი მუშა

პიესა 1 მოქმ. გერბილონისა თარგ. ნ. გოცირიძისა.

II

რაც გინახავს ვეღარ ნახავ

კომ. 3 მოქმ. ა. ცაგარლისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ.ქ. შ. ბრეგანიშვილი, ი. გოლეიძე, ვ. მარჯველაშვილი, ელ. ინქოშვილი, ს. რომანიშვილი-დგებუაძისა. ბ.ბ. გ. ანაშვილი, ნ. გოცირიძე, გ. გელიკურაშვილი, ალ. ივერიელი, ბ. მამაჯანოვი, ი. მინდიაშვილი, ა. მეტრეველი, გ. ნინიძე, ა. თავდგირიძე, ს. რომანიშვილი, ნ. ჭანკვეტაძე, კ. ხახანაშვილი და სხ.

ადგილების ფასი: 1 მ. 9 კ—დან 20 კაპიკამდე. ◆ დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

შემდეგი წარმოდგენა 22 ენკენისთვეს.

რეჟისორი: კ. შათირიშვილი. რეჟ. თანაშემწე: ალ. ბაღრიძე.

პური

თფილისის მოქალაქეთა საყურადღებოთ.

22 სექტემბერს პური გაიცემა პურის წიგნაკის ტალონებით, რომელზედაც აწერია „22 ივლისი", 23 სექტემბერს რომელსაც „23 ივლისი" აწერია და ისე შემდეგში.

პურის წიგნაკის ტალონები 20 და 21 ივლისის გაუქმებულია.

3—1 **ქალაქის სასურსათო კომიტეტი.**

„მოსავალი" (урожай)

იხსნება ახალი მომხ. საზ., რომლის მიზანია გახსნას თფილისის ყველა რაიონში პურის საცხობები

კვირას, 17 სექტემბერს, დილის 9 ნახ. საათზე,

ახალ საკრებულოში მიხაილოვის ქუჩა № 131.

შესდგება პირველი დამფუძნებელი კრება

დღის წესრიგი: 1) წესდების განხილვა, 2) ფურნეების გახსნა, სმეტის განხილვა 3) გამგეობის არჩევა და 4) სარევიზიო კომისიის არჩევა.

წევრათ ჩაწერა შეიძლება შემდეგ ადგილებში: დ. კახელაძესთან, ანდრეევის ქუჩა № 9. ნ. ვიგორბინთან—ტრამვაის პარკი. რკინის გზის სახელოსნოში, გ. ჯომარჯიძესთან ვაგონის ცეხში, ალ. კუდრიავცევთან—სტარი ცეხი, ან. ქადაგიშვილთან, პ. ხურცილავასთან ლიტეინის ცეხი, გ. ჩიქოვანთან ტოკარნი ცეხი, გრ. ცინცაძესთან საქონლის სადგურზე. გ. შუკაკიშვილთან „ელორძინებაში" ვერის განყოფილებაში, ავლაბარში ამხ. „ელორძინებაში" ვ. კანტიძესთან ამიერ კავკასიის მომხ. საზ. კავშირში. ორთაჭალაში მ. შელიაშვილთან ნაძალადევში XI უბნის სასურსათო კომიტეტში და კრების ბინაზე.

დამფუძნებლები **დ. კახელაძე და დ. მარხაშოვი.**

ქ. სამტრედიაში გაიხსნა კლასიკური გიმნაზია

ორივე სქესისათვის მე-5—6 კლასის შემადგენლობით.

მე-6 კლასი გაიხსნება, თუ შესაფერი კომპლექტი (20 მოწ.) შედგება.

გიმნაზიაში შესასვლელი თხოვნები მიიღება ყოველ დღე სამტრედიის უმაღლეს პირველდაწყებით სასწავლებელში.

მე 5 კლასში მიიღებიან მოსწავლენი უმაღლეს პირველ დაწყებით სასწავლებელში კურს დამთავრებულნი უეგზამენოთ.

მე 6 კლასში მიიღებიან მოსწავლენი ყველა გიმნაზ., როგორც სახალხო, ისე სავაჭროებიდან.

ამასთანავე საჭიროა გიმნაზიის გამგე და მასწავლებლები:

მათემატიკოსი, ბუნების მეტყველი, ფილოლოგი და უცხო ენების (ფრანგ. და ნემეცური).

თხოვნები მიიღება 25 ენკენისთვემდის.

საჭიროა შემდეგი დოკუმენტები: 1) განათლების ცენზი, 2) curriculum vitae, 3) სარეკომენდაციო ქაღალდი პროფესიონალურ კავშირიდან და პედაგოგიურ საბჭოდან (თუ მსახურებდა), რამდენი წელიწადს მსახურებდა, როგორი იყო მისი პედაგოგიური მოღვაწეობა და მისი ზნეობრივი მხარე. არჩეულ კომიტეტიდან კი კანდიდატის შესაფერისობა მოწმობისათვის. ყველა მოწმობები უნდა იყოს დადასტურებული სათანადო დაწესებულებათა დადგენილებით. მეცადინეობა დაიწყება 2 ოქტომბრიდან.

მისამართი: Гободъ Самтреди, Предсѣдателю Школьнаго Комитета Вл. Ѳ. Папава.

აგრეთვე საჭიროა უმ. პირვ. დაწყ. სასწავლებელში მასწავლებლები. 3—2

აუქციონ

თფილისის ქალაქის ლომბარდი

საყოველთაოდ აცხადებს, რომ კვირას, 17 სექტემბერს, დილის 10 საათზე, ლომბარდის შენობაში საჯარო ვაჭრობით გაიყიდება ვადა გასული დაგირავებული საგნები, რომლებიც შესდგება ძვირფასი ლითონეულისა და ქვებისაგან, ლითონის საგნებისა, საკერავი მანქანებისა, ნოხებისა, ტყავეულისა, ტანსაცმელისა და საერთოთ ყოველგვარი მოძრავი საქონლისაგან.

სია

ჭიათურის თვითმართველობის სახმოსნო კანდიდატებისა, წამოყენებული სოც.-დემოკრატების მიერ № 1.

1. **ანთელიძე გიორგი ანტონის ძე,** მასწავლებელი, ს.-დ. კომიტეტისა და მ. დ. საბჭოს თავმჯდომარე და აღმ. კომიტეტის წევრი.
2. **ჯაფარიძე სიმონ დავითის ძე,** ექიმი, საქალაქო აღმ. კომიტეტის თავმჯდომარე.
3. **ხუნდაძე გიორგი ხილიაგანის ძე,** ინჟინერი, ადგილობრივი და საგუბერნიო აღმასრულებელი კომიტეტის წევრი.
4. **მოდებაძე კარპე სპირიდონის ძე,** მაღაროს ტეხნიკი, სარაიონო აღმ. კომიტეტის თავმჯდომარე მუშათა დეპ. საბჭოს წევრი.
5. **გურული ზაქარია დავითის ძე,** მაღაროს ტეხნიკი, მ. დ. საბჭოს და მის აღ. კომიტეტის წევრი, ადგილობრივ და სამაზრო აღმ. კომიტეტის წევრი.
6. **ვაშაძე გალაქტიონ ხარიტონის ძე,** ქალაქის კომისარი, მ. დ. საბჭოს წევრი, სოც.-დემოკ. კომიტეტის თავმჯდომარის ამხანაგი.
7. **მითაიშვილი ალექსანდრე მიხეილის ძე,** მასწავლებელი, მუშ. დეპ. საბჭოს წევრი.
8. **ჯაფარიძე (ხაზანაშვილი) ზაქარია ნიკოს ძე,** ზეინკალი, ს. დ. კომ. და მ. დ. საბჭოს წევრი.
9. **ხარატიშვილი იხიდორე დომენტის ძე,** მონტიორი, სოც.-დემ. კომიტეტის, მ. დ. საბჭოს და მის აღმ. კომიტეტის წევრი და მდივანი.
10. **სიხარულიძე სერაპიონ ანტონის ძე,** მემანქანე, ს.-დ. კომიტეტის, მ. დ. საბჭოს და აღმ. კომიტეტის და ქალაქის აღმ. კომ. წევრი.
11. **თოდუა ეხვევი დავითის ძე,** შავი ქვის მრეწველი, აღმასრულებელ და სასურსათო კომიტეტის წევრი.
12. **წერეთელი ივანე კონსტანტინეს ძე,** მასწავლებელი, ს.-დ. კომიტეტის წევრი და მდივანი.
13. **ფხალაძე გრიგოლ დავითის ძე,** სოციალ-დ-ლი, სარაიონო აღმას. და სასურსათო კომიტეტის და მუშათა დეპ. საბჭოს წევრი.
14. **ვაშაძე ხადიკო მელიტონის ასული,** კურსისტკა;
15. **ნუცუბიძე გიორგი სპირიდონის ძე,** მემანქანე, აღმასრ. კომიტეტის წევრი!
16. **გალუსტოვი მიხეილ ზაქარიას ძე,** ვაჭარი, ქალაქის აღმ. კომიტ. წევრი და ხაზინადარი;
17. **ქაცარავა პავლე სიმონის ძე,** ვაჭარი, დრამატიული საზოგად. ხაზინადარი.
18. **მელიქოვი ვიქტორ ბეგანის ძე,** კონტროლიორი, მ. დ. საბჭოს და სასურ. კომ. წევრი;
19. **მატიევი ბაგრატ წუალოხას ძე,** ვაჭარი;
20. **ჭეჭინაძე კალისტრატე კონსტანტინეს ძე,** რკინის გზის ტეხნიკი, აღმ. კომიტ. წევრი.

რწმუნებული ყოფილი

ამიერ კავკასიის მშრომელი არტელისა

ე. მ. ყანჩაველი ამით აცხადებს ნახსენები არტელის წევრებს საყურადღებოთ, რომ კვირას, 17 ენკენისთვეს, არის დანიშნული

საზოგადო კრება არტელისა

ნაშუადღევის 4 საათზე, თფილისის საქონლის საწყობის სადგურზე.

ქართული სრულ უფლებიანი

ქალ-ვაჟთა გიმნაზია

„მასწავლებელთა კოლეგიისა".

(ყოფილი ან. ლევ. ჩერქეზიშვილისა)

მოწაფეებს მიიღებენ პირველ სამ განყოფილებაში, სადაც სწავლა იწარმოებს ქართულ ენაზე და 1, 2, 3, 4 და 5 კლ. თხოვნები მიიღება გიმნაზიის კანცელარიაში ყოველ დღე 10—1 ს.-დე. ვისაც უმაღლესი სამოქალ. სასწავლებელი გათავებია მიიღებიან უეგზამენოთ მე-5 კლასში.

მისამართი: ალექსეევის ქუჩა № 17, ვორონცოვის ძეგლის მახლობლათ. 3—1

პური

იმ დაწესებულებათა საყურადღებოთ, რომლებიც თავიანთ საჭიროებისათვის თითონ აცხობენ პურს.

იმ მიზნით, რომ უფრო დაწვრილებით გამოირკვეს მეფურნეებზე მისაცემ ფქვილის რაოდენობა, აგრეთვე რაოდენობა ქალაქში დასახარჯ პურისა, ქალაქის სასურსათო კომიტეტი სთხოვს ყველა დაწესებულებებს, როგორც მაგ. საინტენდანტოს, საავადმყოფოებს, საზოგადო საცხოვრებელ ადგილებს, წითელ ჯვარს, ქალაქთა და ერობათა კავშირებს და სხვ., რომლებიც აცხობენ პურს კერძო საცხობებში თავიანთ საჭიროებისათვის, აცნობონ საჩქაროთ ქალაქის სასურსათო კომიტეტის პურის ბიუროში ცნობები, თუ რომელ ფურნეში ცხვება მათთვის პური და რამდენი ფუთი ფქვილი ეძლევა ფურნეს დღეში პურის გამოსაცხობათ.

5—5 **ქალაქის სასურსათო კომიტეტი.**

ექიმი გ. მ. მუხაძე

ქობულეთში გამგზავრების გამო შესწყვიტა ავადმყოფების მიღება ენკენისთვის ბოლომდის.

ექიმი ივანე თიკანაძე

იღებს ავათმყოფებს საღამოს 5—7 საათამდე. მისამართი: კიროჩნის ქუჩა, 18, ტელეფონი № 11—82.

ექიმი ა. დ. კაკელია

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე საღამოობით 6—8 საათამდე. კანის, ვენერიულს და ათაშანგით (სიფილისი) (606-ს და 914-ს შეშხაპუნება) ავადმყოფებს. მიხეილის პროსპექტი № 116, სასტ. „ნოის" პირდაპირ.

ქუთაისი

ექიმ გ. ი. გოკიელი

ელექტრონისა და სინათლის სამკურნალო კაბინეტი, შინაგანი ნერვებისა და ვენერიული ავათმყოფთათვის, ავათმყოფნი მიიღებიან დილის 9—12 საათ, და სა 6—8 ს. საათამდე

ექიმი

დ. ი. ქორდანია

იღებს ავათმყოფებს შინაგან და ვენერიულ ავათმყოფობით, სპეციალურათ ქრონიკული მალარია და ქრონიკული ტრიპერი. საღამოს 5—6 საათამდე გარდა სამშაბათისა. გორის ქუჩა № 6 (დიდუბე)

ექიმი კ. ი. გვარჯალაძე

შინაგან და ბავშვთა სნეულებათა

ავათმყოფებს მიიღებს ყოველდღე საღამოს 6—7 ს., კვირა დღის გარდა.

ქსენიევის ქუჩა, № 4, სასტუმრო [illegible]. ტელეფ. 15—00.

ქუთაისი

ექიმი ვალერიან ლორთქიფანიძე

იღებს შინაგან, ბავშვთა და ნერვების სნეულებით ავათმყოფებს ყოველ დღე. დილის 11—2 საათამდის, საღამოს 7—9 საათამდი პუშკინის ქუჩა, ციტუშვილის სახლში.

ქ. ქუთაისი.

ექიმი მ. ი. ჩხენკელი

იღებს ბავშვთა და შინაგანი სნეულებით ავათმყოფს ყოველ დღე, დილის 9 საათიდან—1 საათ. საღამოს 5—8 საათ. ქუთაისი, ბალახვანის ქ., ბაქრაძის სახლი.

მედიცინის დოქტორი

გ. გ. მეგრაბიანცი

ჩამოვიდა და განაახლა ავათმყოფების მიღება. შინაგანი ავათმყოფობა, ფილტვისა და გულისა. იღებს ახალ რენტგენის—ელექტრო-წამლობის კაბინეტში; გასინჯვა და წამლობა სხივებით. დიდი სოლენოიდი არსონვალის ტოკით ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავათმყოფობისათვის. ყოველდღე დილის 9—1 საათამდე, საღამოს 6—8-მდე. ბებუთოვის ქუჩა № 23, ტელეფონი 7—92.

სამშაბათს 19 სექტემბერს 1917 წელ. საღამოს 7 საათზე ეზარხის მოედანზე სახელოსნო სკოლის დარბაზში მოხდება საზოგადო კრება 4—5 სამილიციო ნაწილში მცხოვრებ პარტიის წევრებისა. დღის წესრიგი: 1) კოლექტივის მოქმედების ანგარიში, 2) ახალი კოლექტივის არჩევნები, 3) მიმდინარე კითხვები. ვთხოვთ პარტიის წევრებს უსათუოდ დაესწრონ კრებას და ნუ დაიგვიანებენ. მეოთხე რაიონის კოლექტივი რ. ს. დ. მ. პ.

ზავი და ომი.

მსოფლიო ომის მეოთხე წელიწადი, ახალ-ახალ სიურპრიზებს უმზადებს ქვეყანას და პირველად ყოვლისა—რუსეთის რესპუბლიკას.

გარეშე ფრონტს, რომელიც ბრძოლის ხაზზე არის გადაჭიმული და სანგრებით გამაგრებული, მიემატა ფრონტი შინაური, მუშათა კლასობრივი შეხების და კლასობრივი ბრძოლის საზღვარზე გადაჭიმული. შინაური ზავი დამარხა მთელ ევროპაში რუსეთის რევოლიუციამ—ამით დაუძინებელი მტრები შეიძინა ევროპის ბურჟუაზიის სახით.

ყოველ დღე დეპეშას ახალ-ახალი ცნობები მოაქვს ევროპის დიპლომატიის რუსეთის წინააღმდეგ ამხედრებისა და ახალ-ახალი საომარი კომბინაციების შესახებ.

ერთი მხრით თავს იყრის ბერნში სამშვიდობო კონფერენცია, რომლის მოსამზადებელ კომისიებში თითქმის ყველა ნეიტრალური და ზოგი მეომარი სახელმწიფოებიც მონაწილეობენ. მეორე მხრით ევროპის დიპლომატია გაცხარებული ეწევა თავის ფარულ მუშაობას, რომლის შედეგები აქა-იქ იჩენს ხოლმე თავს. მაგ., ამ დღეებში დეპეშამ გვამცნო, რომ ჩრდილო-ამერიკის შტატები და იაპონიის სახელმწიფო, ეს ორი ანტაგონისტური სახელმწიფო, რომელთა შორის დღემდი ისეთი გამწვავებული მდგომარეობა იყო, რომ ომის გაჩაღებასაც მოელოდენ მათ შორის, დღეს შეთანხმებულან უკვე საერთო ომის წარმოების შესახებ შუა ევროპის სახელმწიფოთა წინააღმდეგ. ასეთია დიპლომატიის ცნობა. ხოლო გაზეთები ამ ზოგად ფრაზებს, ამ შეთანხმებას ფორმალურ შინაარსს აძლევენ და ამტკიცებენ, რომ შეთანხმებას მიზნათ აქვს იაპონიის აქტიური ჩარევა ევროპის კონტინენტზე ომში რუსეთის მაგიერობის გასაწევად. ამრიგათ, ეს ახალი ფაქტია, რომელიც მოწმობს იმას, რომ რუსეთი ევროპის მოკავშირე სახელმწიფოებმა არარაობათ აღიარეს, ანგარიშიდან ამორიცხეს და მის მაგიერ ძალას ეძებენ ომის ველზე გამოსაყვანათ.

დიპლომატიამ მორალური მოსაზრებები არ იცის. იგი მშრალი ანგარიშის მიმდევარია. დღეს სასარგებლოა—შეუსკენა,—ხვალ სხვაგან ურჩევნია—იქით გადიხრება. ძმობა, მეგობრობა, კეთილი განწყობილება და სხვა მაღალი ფრაზები, ეს მხოლოდ შირმაა, ნამდვილი აზრის დასაფარავათ. იგი ამ მხრივ ხორცი-ხორცთაგანია ევროპის გულ-ცივი მოანგარიშე ბურჟუაზიის.

ამ ნაირად, დღეს ჩვენს წინაშე დგას ფაქტი რუსეთის იზოლიაციის, განმარტოვების, რაიც ნიშნავს რევოლიუციის იზოლიაციას, მის დასამარცხებლად გამზადებას.

ევროპის ბურჟუაზიისგან ჩვენ ეს არ უნდა გაგვიკვირდეს. როგორც უკვე გვქონდა აღნიშნული ერთ-ერთ წერილში, ევროპა ბურჟუაზიული უმეტესად უფრთხის „წითელ აჩრდილს", სოციალიზმისას, რომელიც მოყვება მუშათა ამოძრავებას, ვინემ ვილჰელმის 42 სანტიმეტრიან ზარბაზანს, რომელსაც მეფის და ბურჟუაზიის ინტერესების განმტკიცება აქვს მიზნად.

მთელი ქვეყნის ბურჟუაზია ერთდება ამ აჩრდილის წინააღმდეგ. რომის პაპა და სამღვდელოება ერთხმად ილაშქრებენ მის წინააღმდეგ. ბერნის „სამშვიდობო კონფერენციის" მოტრფიალენი გულში ყველანი აღიარებენ ამ უმთავრეს საფრთხეს, რომელსაც მუშათა კლასის შემოსევა წარმოადგენს. შინაური ფრონტი—კლასობრივი ბრძოლა გახდა მთავარი ფაქტორად საერთაშორისო პოლიტიკის. ბურჟუაზია და მუშათა კლასი კვლავ დაუპირდაპირდნენ ერთმანეთს. დღეს გაბატონებული კლასები მზად არიან ერთი-მეორეს სისხლში გასვრილი ხელები გაუწოდონ ერთმანეთს, მუშების საწინააღმდეგოთ.

ევროპა ისევ იყოფა ორ მთავარ ბანაკად: ესაა ბურჟუაზიის და პროლეტარიატის ბანაკები.

ამათში პირველი ყველგან კონსერვატორულია და რევოლიუციის მტერი, მეორე თვით რევოლიუციონერია და ამიტომ რუსეთის რევოლიუციის მოყვარე.

საერთაშორისო ომი.

დასავლეთის ფრონტზე ბრძოლა ჩვეულებრივათ სწარმოებს. მოწინააღმდეგენი ხროლას არ სწყვეტენ. ჩვენმა ბატარეამ ლევენტოფთან ძლიერი ხროლა აუტეხა მტერს და ზიანი მიაყენა.

რუმინიის ფრონტზე სერეტის ახლოს მტერმა ძლიერი ხროლა ატეხა, შემდეგ ქვეითი ჯარი იერიშით წამოვიდა და ჩვენ თხრილებში შეიჭრა, მაგრამ კონტრ-იერიშით გავრეკეთ.

ბალტიის ზღვაზე ჩაიძირა საესკადრო ნაღმოსანი „ოხოტნიკი“.

კავკასიის ფრონტზე ჩვენმა მზვერავებმა დაიჭირეს ორმანი.

დანარჩენ ფრონტზე ჩვეულებრივი ხროლაა.

საფრანგეთის ფრონტიდან ცნობა არ მოსულა.

კორნილოვ-კადეტების შეთქმულება აშკარად ამტკიცებს, რომ „სამშობლო ბურჟუაზიაც“, რომელსაც რევოლუციამ ძველი რეჟიმის კლანჭები მოაშორა და განვითარების უფართოეს სარბიელს უმზადებს, ეს ბურჟუაზიაც კი დამფრთხალა მუშათა ძალების წინაშე და მოღალატეობით ცდილობს მას ენერგიულ წინ მსვლელობას სისხლში ჩახრჩობას. მასაც გარეშე მტერი, ვილჰელმის ჩექმის ქუსლები ურჩევნია მუშათა მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას, იგიც მზათაა ფრონტი გაარღვიოს, რომ როგორმე რევოლუციის ძლევამოსილი მსვლელობა შეაფერხოს.

ამ ნაირად, შინ და გარედ გაბატონებული კლასები ებრძვიან რუსეთის რევოლუციას, ემუქრებიან რუსეთის თავისუფლებას და თვით რესპუბლიკის არსებობას. საფრთხეშია რევოლუცია, საფრთხეშია თვით რესპუბლიკა. პირველის დაცემა მეორეს განადგურებაა. პირველის ხსნა მეორეს გადარჩენა და განმტკიცებაა.

ამის საშვალება კი შინ დემოკრატიის სიძლიერეა და რევოლუციური ენერგია, გარეთ ევროპის მუშათა სოლიდარობა და ერთსულოვანი—გამოსვლაა. ევროპის მუშათა კლასი თუ არ გამოეხმაურა მძლავრათ რუსეთის თავისუფლებას, უკანასკნელი დიპლომატიის დაუნდობელ კლანჭების საშოვნელი გახდება.

ევროპის მუშათა კლასი უკვე იძლევა თავის გამოხმაურების ნიშნებს. შინაური ზავი ყველგან გაუქმებულია. კლასობრივი ბრძოლა თანდათან ძლიერდება და მწვავე ფორმებს იღებს.

მაგრამ დღემდე არსებობს კიდევ ნაწილი მუშათა კლასისა, რომელიც ბურჟუსიდან ვერ გამორკვეულა და თავის დაცვის საშვალებათ ისევ ბურჟუაზიულ მთავრობასთან მორიგება და მეგობრობის დაჭერა მიაჩნია.

გამოფხიზლების ხანა დადგა, მაგრამ მისგან ნაყოფის გამოღება და რეალური შედეგის მოცემა რუსეთის რევოლუციისთვის დროს თხოულობს.

ჯერ-ჯერობით კი, ვერ დავფარავთ, მას იმდენი ძალაც არ დაურჩა, რომ სტოკჰოლმის კონფერენცია მოეწვია. ცხადია, ასეთ პირობებში რუსეთის რევოლუციის ვალია დაიცვას თავი, შეინახოს რევოლუციის ცეცხლი იმ დრომდე, სანამ ევროპის მუშათა კლასი მძლავრ გამოხმაურების ყიჟინას მოაწვდიდეს.

რევოლუციის ადრე დაცემა იმედს დაუკარგავს და ფრთას ჩამოსჭრის ევროპის მუშებს.

ეს დაცემა კი, შეიძლება მოხდეს ან ფრონტზე დამარცხებით, ან შინ ეკონომიური მოუწყობლობით.

მაშასადამე, ევროპის მუშათა კლასის შეერთებას და საერთაშორისო ზავისკენ მედგარ სწრაფვასთან ერთად რუსეთის რევოლუციონერთა წმინდა ვალია დაიცვან ფრონტი ვილჰელმის ჯარისაგან. ევროპის და შინაური ბურჟუაზია გვყავს ფრონტზე და შინაც. ჩვენ უნდა ყოველი ღონით ვეცადოთ გამარჯვებას ერთგან და მეორეთგანაც.

მხოლოდ ასეთ შეთანხმებულ ორმაგი მუშაობით შეიძლება დახსნა რევოლუციის.

დავალიანებული რუსეთი

ფინანსთა სამინისტრომ დეპეშის ცნობით გამოაქვეყნა რუსეთის ფინანსების მდგომარეობის შესახებ ვრცელი მოხსენება. დეპეშამ მხოლოდ ზოგადი ციფრები გადმოგვცა ამ მოხსენების, მაგრამ ეს ციფრები პირდაპირ შემაძრწუნებელია.

ომს ჩაუყლაპავს 41 მილიარდზე მეტი, ვალი დასდებია რუსეთის ხაზინის 35 მილიარდი და მის გასასტუმრებლად ყოველ წლიურად უნდა იხადოს რუსეთის ხალხმა თითქმის ორი მილიარდამდე სარგებელი. თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ მთელი შემოსავალი რუსეთის ომამდე არ აღემატებოდა 3 მილიარდს, გამოდის, რომ მისი ორი მესამედი მოუნდება ვალის გასტუმრებას, მიმდინარე ხარჯებისთვის კი თითქმის არაფერი არ დარჩება.

რუსეთის რესპუბლიკას ამ მხრით ყველაზე მძიმე მემკვიდრეობა დარჩა ძველი რეჟიმისაგან.

ამ უთვალავი ვალის გასტუმრება შთანთქავს მთელი ხალხის სიმდიდრეს. იგი დიდხნით გაგვხდის მევალეების საწყალ ყულად. დიდი განსაცდელი მოელის რუსეთს უკეთუ რაიმე. რადიკალური ღონისძიება არ იქნა მიღებული.

საფრანგეთის რევოლუციამ ანალოგიურ მდგომარეობიდან გამოსასვლელ საშვალებათ იცნო საეკლესიო ქონების ჩამორთმევა და მისი გაყიდვა. რუსეთისთვისაც ასეთი ზომა აუცილებელია.

მართალია, მამულის გაყიდვა სოფლის მუშებზე შეუძლებელია, ვინაიდან ღარიბები ვერ იყიდიან, შეძლებულ გლეხებისთვის კი მიწის მომატება იქნება უთანასწორობის კიდევ უფრო გაღრმავება სოფელში, და ამით სოფლის ღარიბ-ულაფაკთა ამხედრება განმათავისუფლებელი მოძრაობის წინააღმდეგ.

ცხადია, ასეთ ზომას მთავრობა ვერ მიმართავს. იგი დემოკრატიის დამღუპველი იქნებოდა.

მაგრამ არის საეკლესიო ქონება, მამულს გარეშეც. ჯერ კიდევ მინსკში მომხდარ ფრონტის ყრილობაზე გაისმა ხმა ეკლესია-მონასტრების უთვალავ სიმდიდრის შესახებ, რომელიც მუქთათ ძევს მაშინ, როდესაც ახლად განთავისუფლებულ რუსეთის ხაზინის სრული სიცარიელე დიდ საფრთხეში აგდებს თვით რევოლუციის მომავალს. ერთი დელეგატი, სასულიერო პირი, ვგონებ მღვდელი, დოკუმენტებით ხელში ამტკიცებდა, რომ მრავალი მილიარდის ქონება ეკლესიებისა უნდა დაუყოვნებლივ მოხმარდეს სახალხო საქმესო.

ამ წინადადებამ მაშინ ყველა გაზეთები მოიარა და ყველგან თანაგრძნობა მოიპოვა. მაგრამ მის შემდეგ თითქოს ყველამ მიივიწყა და დღეს, უკიდურესი ფინანსიურ გაჭირვების ხანაშიაც კი, არავინ ფიქრობს ამ საშვალებაზე მიუთითოს მთავრობას. არ ვიცით, რით არის გამოწვეული ასეთი სიჩუმე; იქნება კლერიკალების გავლენა გლეხებზე და მოსალოდნელი წინააღმდეგობა აფიქრებს რუსეთის ხელმძღვანელთ. მაგრამ ჩვენ გვგონია, რომ ეს შიში უსაფუძვლოა.

სარწმუნოებრივ გრძნობას ოდნავათაც არ შეუშლია ხელი საფრანგეთის გლეხებისთვის საეკლესიო მამულები და მთელი ქონება საერო საკუთრებათ გამოეცხადებინა. და ამას არა თუ არ აუღელვებია ხალხი, მთავრობის წინააღმდეგ, პირიქით, საერთო აღფრთოვანება და სიხარული გამოიწვია ყველა დემოკრატიულ და რევოლუციურ წრეებში.

რუსეთმაც უნდა ისარგებლოს ამ მაგალითით. ამით იგი რეაქციის ერთ ძლიერ ბუდეს დაანგრევს და ფინანსიურ კრიზისსაც შეამსუბუქებს. ქონებაზე დაყრდნობილი კლერიკალიზმი უფრო საშიშია მოძრაობისთვის, ვინემ ქონება ჩამორთმეული ბერ-მონაზვნების ყორნისებური ჩხავილი. ამიტომ საეკლესიო ქონების ჩამორთმევა ხაზინის სასარგებლოთ მორიგ საკითხათ უნდა იქნეს აღიარებული.

პარტიული მუშაობა

საერთო რევოლუციონურმა მუშაობამ რევოლუციურ ორგანიზაციათა მეთაურობის ხელში ჩაგდებამ თითქმის სრულიად უყურადღებოთ დასტოვა მეორე მხარე ჩვენი მუშაობის, მისის პარტიული თვითცნობიერების განვითარება, მისი კლასობრივი გაწვრთნა.

მართალია, რევოლუციური მუშაობა დემოკრატიულ ორგანიზაციებში უდიდესათ მნიშვნელოვანია მუშათა კლასის კლასობრივ ინტერესებისათვის, მაგრამ მარტო ამ მუშაობით დაკმაყოფილება მაინც არ შეიძლება. პირიქით, სწორეთ კლასობრივი ინტერესი მოითხოვს ამ საერთო, დემოკრატიულ მოძრაობაში შეგნებულათ ჩარევას, ამის თავმდები კი პარტიული მუშაობის გაძლიერება და გაღრმავებაა. ეს უკანასკნელია საფუძველი ს.-დ. გავლენის დემოკრატიაზე. ძლიერია პარტია—ძლიერია მისი გავლენაც საერთო მოძრაობაზე, შესუსტდება პირველი—დაიშლება მეორეც.

დღევანდელი ჩვენი მდგომარეობა ამ მხრივ წარმოშობილია ჩვენი წარსული მუშაობით რეაქციის შავბნელ ხანაში, ჩვენი განუწყვეტელი ბრძოლის თვით ომიანობის საშინელ წლებშიაც.

სწორეთ იმიტომ მიიღო ყველამ ს.-დ. ხელმძღვანელობა ჩვენში, რომ ეს უკანასკნელი ყველაზე დარაზმული და პოლიტიკურათ გაწვრთნილი შეხვდა რევოლუციის ქარიშხალს.

დღეს მდგომარეობა ერთი-ორად რთულდება, ფაქტიური ხაზი მუშათა კლასის, მისი სამოქმედო პოლიტიკა დღითი დღე ცვალებადობას განიცდის, მდგომარეობის და პირობათა ცვლილების მიხედვით.

ასეთ პირობებში, მით უმეტეს, საჭიროა პარტიულ მუშაობის გაძლიერება. პარტია უნდა წინ უძღოდეს და ხელმძღვანელობდეს თავის წარმომადგენელთ, რომელნიც საერთო მუშაობაში არიან ჩაბმულნი, იგი უნდა უკარნახებდეს თავის სურვილს ქალ. საბჭოს, რევოლუციურ ორგანიზაციებს, მან უნდა მიიღოს მონაწილეობა პროფ. კავშირების და სხვა მუშათა ეკონომიურ ორგანიზაციების მუშაობაში.

ყველა ეს მოითხოვს პარტიულ მუშაობის გაძლიერებას, მის მოწინავე რაზმის გაცნობიერებას.

ამიტომ ჩვენ მოვუწოდებთ ყველა პარტიულ ამხანაგებს პარტიული მუშაობის გაძლიერებისაკენ.

სადღეისო კითხვა.

კავკასიის ქალაქებში თვითმმართველობის არჩევნები დასრულდა. ასე თუ ისე, ქალაქებს პატრონი ჰყავს, შესაფერი დღევანდელი მდგომარეობისთვის. სულ სხვანაირი მდგომარეობაა სოფლებში. სკოლები დაკეტილია, გზები გაფუჭებულია, ახალი ადმინისტრაცია ორგანიულად არ არის შეკავშირებული მცხოვრებლებთან. **დაუყოვნებლივ საჭიროა ერობის შემოღება**, ყოველივე არევ-დარევის თავიდან ასაცილებლად.

კავკასიის დროებითი მთავრობა, აშენებული ნაციონალისტურ საძირკველზე, ვერ მოქმედებს ისე, როგორც მას შეეფერება. აურებელი დრო იხარჯება თურმე იმის გამოსარკვევად, თუ რომელი სოფელი რომელ მაზრას ეკუთვნის. განსაკუთრებით აღმოსავლეთ კავკასიაში ამ დავას დასასრული აღარა აქვს. ექვსი თვე გადის და ჩვენ ერობასაც ვერ ვეღირსეთ. ასეთი მდგომარეობის გაგრძელება ყოვლად მოუთმენელია.

როდესაც ავსტრიის პარლამენტში სხვადასხვა სახის ნაციონალისტები თვეობით იბრძოდენ, რომელიმე შკოლის გახსნის თაობაზე, ჩვენ ეს არ გვაკვირვებდა და ბუნებრივად, ხალხის დამღუპველად მიგვაჩნდა. როდესაც ამიერ კავკასიის ნაციონალისტები თავისი დაუსრულებელ ობსტრუქციით ხელს უშლიან ადგილობრივ უფლებიან ორგანოების შექმნას, ჩვენ არც ეს გვაკვირვებს. მხოლოდ ამის მოთმენა მეტი ჩვენ არ შეგვიძლიან. დემოკრატია გადაჭრით და კატეგორიულად მოითხოვს ადგილობრივი თვით-მმართველობის შემოღებას. ეს მოთხოვნა უნდა დაუყოვნებლივ შესრულებული იქნას. წინააღმდეგ შემთხვევაში იმ ადგილებში მაინც, სადაც საზღვრებზე არ დაობენ. ხალხი გამონახავს შესაფერ გზას თავის სურვილის განსახორციელებლად.

ბ. თევზაია.

დემოკრატიის თათბირი.

(პ. ტ. ს.)

პეტროგრადი.

სანამ თათბირი გაიხსნებოდა ალექსანდრეს თეატრში თავი მოიყარეს თათბირზე ჩამოსულებმა. სულ ჩამოვიდა 1200 მეტი დელეგატი. დარბაზი ხალხით სულ გაჭედილია. ესტრადის შუა სდგას მაგიდა პრეზიდიუმისთვის, მის უკან ადგილი დანიშნულია დეპუტატთა საბჭოების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებისთვის და გლეხთა დეპუტატებისთვის, პარტერში საბჭოების წარმომადგენლებისთვის და იარუსებში სხვა ორგანიზაციების წარმომადგენლებისთვის. ყოფილ მეფის ლოჟაში ადგილები დანიშნულია დროებითი მთავრობის წარმომადგენლებისთვის. თათბირის გახსნამდე ლოჟაში ადგილს იჭერს შინაგან საქმეთა მინისტრი ნიკიტინი, სამხედრო და ზღვათა მინისტრები და დროებითი მთავრობის სხვა წარმომადგენლნი. მინისტრი—თავმჯდომარე კერენსკი მოვიდა თათბირის გახსნის შემდეგ და ლოჟაში შუა ადგილი დაიჭირა. დიპლომატიურ კორპუსის წარმომადგენელნი მოთავსდენ ძველი მთავრობის ერთ-ერთ ლოჟაში, მეექვსე საათის დასაწყისს თავმჯდომარეს ადგილი დაიჭირა დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტის თავმჯდომარე ნ. ჩხეიძემ, მის გვერდით მოთავსდა გლეხთა დეპუტატების აღმასრულებელ კომიტეტის თავმჯდომარე ავქსენტიევი. 5 საათსა და 25 წუთზე ჩხეიძემ კრება გახსნა და წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც აღნიშნა, რომ დღევანდელმა საბედისწერო მდგომარეობამ აიძულა დეპ. საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი და გლეხთა დეპუტატები მოეწვია ეს თათბირი. ყველამ კარგათ იცის, რომ რუსეთი გუშინდელი დღიდან არ არის საშიშ მდგომარეობაში, ის ამ მდგომარეობაში იყო მეფის მთავრობის რეჟიმის მთელი ხნის განმავლობაში. რევოლუციამ გაანთავისუფლა რუსეთი მეფის მთავრობისაგან, მაგრამ მისგან დატოვებულ მემკვიდრეობის ლიკვიდაცია მოხდენა ფრიად ძნელი გამოდგა, ვიდრე ჩვენ გვეგონა. ყველაზე საშიში, რაც მეფის მთავრობამ მემკვიდრეობით გადმოგვცა ეს არის ომი. თითქოს ომის საკითხში რევოლუციის მთავარი მიზანი იყო ამ ომის ლიკვიდაცია რევოლუციონურ რუსეთისთვის მისაღებ პირობებში, მაგრამ საქმემ კი სულ სხვა დაგვიმტკიცა. იმპერიალისტურ წრეების იდეოლოგებმა მოინდომეს რევოლუციის თავის ქვენა აზრების სასარგებლოთ გამოყენება და მისთვის უცხო მიზნები მოახვიეს თავზე. მეორე მხრით უნდოდათ ჩვენი რევოლუციისთვის მსოფლიო სოციალური ხასიათი მიეცათ და ამით დაუყოვნებლივ ჩაექროთ კაპიტალისტურ ომის ცეცხლი. ნახევარი წლის განმავლობაში აშკარა შეიქნა, რომ ასეთი მისწრაფებები პირდაპირ კონტრ რევოლუციონური იყო. სამწუხაროთ, უფრო ბედნიერი ვერც მეორე მხარე გამოდგა: სოციალურ რევოლუციის მაგიერ, ნიადაგი მოუმზადა კონტრ-რევოლუციას, თავისუფლების სამეფოს მაგიერ, ანარქიის სამეფოში გადახტენ. სანამ ამ ორ მიმართულებებს შორის ბრძოლა იყო გაჩაღებული, მთავრობას სულ მთლათ წაერთვა მოქმედების საშუალება. ამის შედეგათ მივიღეთ ჰინდენბურგის და კორნილოვის კოალიცია. დღეს ვილჰელმის ხიშტები რუსეთის რევოლუციას ემუქრებიან. აი სადამდე მიგვიყვანა ერთი მხრით (?) მისწრაფებამ და მეორე მხრით ფრონტზე დამარცხების გახშირებამ. ეხლა ვიკითხოთ რა გზით უნდა დავახწიოთ თავი ასეთ მდგომარეობას? თათბირმა ამ საბედისწერო კითხვაზე გადაჭრილი პასუხი უნდა მოგვცეს, სულ ერთია როგორიც იქნება ეს პასუხი. ქვეყანას სჭირია ისეთი მთავრობა, რომელიც პირდაპირ, შეურყევლათ აკეთებდეს რევოლუციის საქმეებს და პასუხის მგებელი იყოს ყველა ელემენტების წინაშე, რომლებზედაც, როგორც მაგარ საფუძველზე, ის დაეყრდნობა თავის პროგრამის განხორციელების დროს. ამისათვის საჭიროა პროგრამის შესახებ მოლაპარაკება. ჩემის აზრით ამის საერთო საფუძველი უნდა იყოს მოსკოვის თათბირზე გამოქვეყნებული პლატფორმა. (ხანგრძლივი ტაში).

ავქსენტიევი. სალამს უძღვნის თათბირს გლეხთა დეპუტატების სახელით. ჩვენ აუცილებელი და საჩქარო საქმეები გვაქვს გასაკეთებელი—ამბობს ორატორი—ეს არის ქვეყნის დაცვა, მისი დამფუძნებელ კრებამდე მიყვანა და ძლიერი მთავრობის შექმნა. საშიშ წუთს განვიცდით, ასეთი წუთი ჩვენ ჯერ არ განგვიცდია. დემოკრატიამ ეხლა უნდა გამოიჩინოს მთელი თავისი სახელმწიფოებრივი სიბრძნე. თავისუფლების და სამშობლოს გულისთვის ჩვენ უნდა გავიმეოროთ ჰანნიბალის ფიცი „ვერავინ ვერას დროს ვერ ჩააქრობს რევოლუციის მიერ აგიზგიზებულ ცეცხლს“. (მქუხარე ტაში).

შემდეგ ამისა თათბირი ირჩევს პრეზიდიუმს. მუშათა დეპუტატების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის მხრით: ჩხეიძე, წერეთელი, გოცი, ფილიპოვსკი და კამენევი; გლეხთა დეპუტატების ცენტრალურ კომიტეტის—ავქსენტიევი, ჩერნოვი, არხანგელსკი, სოროკინი და პეკროვსკი; ქალაქებისაგან: შრეიდერი, რუდნევი, მინორი, ისაევი, და მილიუტინი; ერობების:—დუშეჩკინი, ჩენიკაევი, ვოლსკი და აგრონოლიკოვი; პროფესიონალურ კავშირის:—გრინევიჩი და შლიაპნიკოვი; კოოპერატივის:—ჩაიკოვსკი, მერკულოვი, ბერკენჰეიმი და ლიხონოსოვი; ფლოტის:—ბარანოვი; ფრონტის:—არლოვი და ვოიტინსკი; უკრაინის რადის:—პორში; ნაციონალურ ორგანიზაციების:—ნუცუბიძე, ცალიკოვი, სობოლევსკი და მდივანი.

შემდეგ ლაპარაკობს კერენსკი. თათბირის დიდი უმრავლესობა კერენსკის ოვაციას უმართავს. კერენსკი აცხადებს: „რუსეთის რესპუბლიკის დროებითმა მთავრობამ მომანდო მოგესალმოთ თქვენ. არ შემიძლია აგრეთვე არ მოგესალმოთ, როგორც უმაღლესმა მთავარსარდალმა, დროებითი მთავრობა დიდ იმედებს ამყარებს თქვენზე, მას იმედი აქვს თქვენ მხარს დაუჭერთ და სურს გაიგონოს სამშობლოს შვილებისაგან ამ დიდად გასაჭირ დროს ბრძნული სიტყვა. მოსკოვის თათბირზე დროებითმა მთავრობამ აშკარათ გამოაცხადა თავისი პროგრამა და თავისი მისწრაფებანი. დღევანდელ თათბირზე მე დროებით დავივიწყებ, რომ დროებით მთავრობის თავმჯდომარე და უმაღლესი მთავარ-სარდალი ვარ. (აქ კერენსკის სიტყვის ნაწილი დეპეშას არ გადმოუცია და ამიტომ გამოტოვებულია).

კერენსკი განაგრძობს: „შემდეგ ისევ წამოგვიყენეს მოთხოვნა ყველა შეიარაღებული ძალები უმაღლეს მთავარ-სარდლისთვის ჩაგვებარებინა. მე დიდი ბრძოლა დამჭირდა, რომ პეტროგრადი და მისი მიდამოები უმაღლეს მთავარ-სარდლის კომპეტენციის გარეშე დამეტოვებინა, მე თან მოვითხოვე, რომ პეტროგრადის გამოყოფის გამო მთავრობისთვის გამოეგზავნა ახალი ჯარები. ამის შემდეგ მე წამომიყენეს კორნილოვის ცნობილი მოთხოვნა, რომელიც მე მაშინვე ვაცნობე მთავრობას და ლვოვიც დავატუსაღე. მივიღე გადაჭრილი ზომები. დაყოვნება შეუძლებელი იყო, რადგან ამ დროს გენ. კრიმოვი, რომელიც მე ბანაკიდან მოთხოვნით სამხრეთ დასავლეთის ფრონტზე დავნიშნე, მეორე ბრძანებით ხელში ჯარებით პეტროგრადისკენ წამოვიდა, ყველაფერი ეს 3—4 საათის განმავლობაში მოხდა. საჩქარო იქნა ზომები მიღებული არეულობის ჩასაქრობათ. შემდეგ კერენსკი ლაპარაკობს იმ კამპანიის შესახებ, რომელიც დაიწყეს მის წინააღმდეგ, როცა ის მთავარ ბანაკისკენ გაემგზავრება სასწრაფო ზომების მისაღებათ. კორნილოვშჩინამ დაამტკიცა ის, რაც მე ივლისში ვსთქვი და მოვუწოდებდი გაფრთხილებულიყვენ და პოლიტიკური შეცდომები არ დაეშვათ. გამართლდა ჩემი სიტყვები, რომლითაც მე მივმართე განსაზღვრულ წრეს: „არ შეცდეთ, არ იფიქროთ, რომ თუ ჩემზე მოსული არიან ბოლშევიკები, მე დემოკრატიისაგან განცალკევებული ვიყო და ჰაერში ვეკიდო. გახსოვდეთ რომ როგორც კი რამეს მოახდენთ, დაუყოვნებლივ გზებზე მოძრაობა შეჩერდება, თქვენ ჯარებს გააჩერებთ და დეპეშებს არ გადაგცემთ (დარბაზის დიდი უმრავლესობა მქუხარე ტაშის ცემით უპასუხებს ამ უკანასკნელ სიტყვებზე) კერენსკი აცხადებს, რომ დროებით მთავრობის წინააღმდეგ გალაშქრება დემოკრატიის ერთობას ძირს უთხრის, გათიშვას და არევ დარევას იწვევს. (ხმები: „მართალია“) დროებითი მთავრობა, როგორც ხალხის ერთგული, მუდამ ებრძოლა სამხედრო ან სხვა დიქტატურას რუსეთში. ეხლა, როგორც ივლისში, უნდა გითხრათ: „იყავით ფხიზლად, დარაჯათ დაუდექით რევოლუციას და ეცადეთ არ დაადგეთ იმ გზას, რომელსაც შეუძლია დემოკრ. და მთავრობას შეერთებულ მუშაობას ნიადაგი გამოაცალოს. ყველაფერი, რასაც არეულობის გამოწვევა შეუძლია, კონტრ-რევოლუციას ნიადაგს უმზადებს და ძველ ღმერთებს თავიანთ ადგილებზე დაბრუნების იმედს უღვიძებს. უკეთუ ჩვენ გადავცდით სახელმწიფოს სამსახურის და სამშობლოს დახსნის გზას, ისეთი მოძრაობა დადგებოდა წინ, რომელსაც ჩვენ ვერ — დავძლევდით. (ხმები: „მართალია“). უკიდურეს მემარცხენეთ სკამებიდან მოისმის ხმები. თავმჯდომარე იძულებული ხდება გააფრთხილოს, რომ უკეთუ არ გაჩუმდებიან სასტიკ ზომებს მიიღებს. თათბირის უმრავლესობა ხშირად აწყვეტინებს კერენსკის და მქუხარე ტაშს უკრავენ. შემდეგ კერენსკი ლაპარაკობს იმის შესახებ, რომ მთელ რუსეთში ანარქია თანდათან ფეხს იკიდებს და დეზორგანიზაციის მაგალითად მოჰყავს ჰელსინგფორსის რევოლუციონურ ორგანიზაციების დადგენილება უარი უთხრას დროებით მთავრობას დაეხმაროს ფინლიანდიის სეიმს ნება დაურთველად გახსნის წინააღმდეგ (უკიდურეს მემარცხენეთა ადგილიდან მქუხარე ტაშს უკრავენ). თავმჯდომარე წესიერებისაკენ მოუწოდებს. ამხანაგებო!—განაგრძობს კერენსკი—ყველას ვისაც გონება აქვს მიხვდება რას ნიშნავს ეს ტაში, იმ დროს როდესაც დეპეშა მოვიდა, რომ გერმანელთა ესკადრა დაიძრა ჩვენი ნაპირებისაკენ. დარბაზში დიდი მღელვარება და მოძრაობა. დამსწრეები ზეზე დგებიან და უკიდურეს მემარცხენეებს უყვირიან „დაუკარით ტაში, დაუკარით ვილჰელმის მეგობრებო“! ძლიერი ხმაურობაა. თავმჯდომარე წესიერებისაკენ მოუწოდებს—მთავრობას სჯერა—განაგრძობს კერენსკი—რომ საშინელ გაჭირვების დროს ყველანი მკერდს მიუშვერენ სამშობლოს მტერს დაიხსნიან იმ ხალხის სიცოცხლეს, რომელიც ღირსია ბრწყინვალე მომავლის. (მქუხარე ტაში) როცა კერენსკი ეხება ჯარების საკითხს მოისმის ხმა: „სიკვდილით დასჯა“! კერენსკი პასუხს აძლევს: რევოლუციის დასაწყისში გაუქმებული სიკვდილით დასჯა ჯარების უფროსების და ფრონტის საზოგადოებრივ ორგანიზაციების მოთხოვნით მთავრობამ ისევ აღადგინა. სირცხვილი და წყევა კრულვა მას ვინც ამ გაფრთხილების შემდეგ, კიდევ ცდილობდა ჯარის გარყვნას და გახრწნას. დაიცადეთ, როცა თუნდაც ერთი სიკვდილით განაჩენი იქნება ჩემ მიერ ხელმოწერილი მაშინ დამწყევლეთ (მქუხარე ტაში) რაც არ უნდა მოველოდეს ჩვენ მაინც ვეცდებით უკან არ დავიხიოთ და დავიცვათ სამშობლოს და ხალხის თავისუფლება-ბედნიერება (ხმა: „უბედური სამშობლო!“ ბრაზიანი ყვირილი და პროტესტები: „ძირს გერმანოფილები, ვილჰელმის მეგობრები, გაეთრიონ აქედან. მოითხოვენ ამ სიტყვების წამომძახებლის გარეთ გაგდებას. ძლივს ძლივობით თავმჯდომარე აწყნარებს კრებას) კერენსკი განაგრძობს: მძიმეა ის ჯვარი რომელსაც მე ვატარებ, ის მე მაძულებს თქვენგან შორს ვიყო, მაგრამ როცა მე აქ მოვდივარ ამას ვივიწყებ და ვლაპარაკობ როგორც ადამიანი. ვიტყვი მთავრობის ენით, უკეთუ კაცს ესმით, ვინც გაბედავს და თავისუფლებისა და რესპუბლიკის გულში ჩასაცემათ დანას აღმართავს, გაიგებს მთელი ქვეყნის ნდობით აღჭურვილ რევოლუციურ მთავრობის ძალა უფლებას. კერენსკი ტრიბუნიდან ჩამოდის და ლოჟისკენ მიდის. მთელი დარბაზი ოვაციას უმართავს. კერენსკი ლოჟაში ადის და დარბაზი ისევ განაგრძობს ტაშის ცემას. „გაუმარჯოს უკვდავ რევოლუციას, გაუმარჯოს თავისუფალ რუსეთის რესპუბლიკას“ ყვირის კერენსკი. ყველანი ფეხზე სდგებიან. მქუხარე ტაში და ურა. სამხედრო პირნი იძახიან: „გაუმარჯოს უმაღლეს მთავარ სარდალ კერენსკის“. (ტაში). კერენსკი ისევ იძახის: „გაუმარჯოს რევოლუციურ ჯარს, აფიცრებს და ჯარისკაცებს, რომლებიც გვიხსნიან ჩვენ სირცხვილისა და დაღუპვისაგან (ტაში).

უმაღლეს მთავარ სარდლის შემდეგ ტრიბუნაზე ადის სამხედრო მინისტრი. ის აცხადებს, რომ სამინისტრო მან იმ დროს მიიღო, როცა კორნილოვის ამბებმა ისევ არევ-დარევა შეიტანა ჯარში და დაასუსტა. დაინახა თუ არა ჩვენი სისუსტე, გერმანიამ რუსეთის ხარჯზე შემოგვთავაზა სეპარატიული ზავი. მოკავშირეებმა გადაჭრილი უარი შეუთვალეს ამ საზიზღარ წინადადებაზე, რადგან მტკიცეთ დარწმუნებული არიან, რომ რევოლუციონური ჯარი თავის მკერდით დაჰფარავს განთავისუფლებულ სამშობლოს და რევოლუციონურ რუსეთს. შემდეგ ვერხოვსკი ეხება ჯარის დღევანდელ მდგომარეობას და ამბობს, რომ წინანდელ ამბებს იქ ადგილი აღარ აქვს, ჯარი ასრულებს ბრძანებას და იბრძვის. სამწუხარო ის არის მხოლოდ, რომ ჯარში ხშირათ ისეთი ელემენტები შედიან, რომლებსაც წარმოდგენა არა აქვთ, რა არის სამშობლო, და ეს კი იმის მიზეზია, რომ საუკუნოებით ხალხი სიბნელეში იხრჩობოდა! შემდეგ ის ეხება აფიცრების მდგომარეობას და ამბობს, რომ ეხლა დიდი უმრავლესობა რევოლუციის მომხრეა. მისი აზრით საჭიროა ჯარების სავსებით გარდაქმნა, საჭიროა მეტი ცოდნა განვითარების შეტანა იქ. ამიტომ მთავრობა და დემოკრატია ხელი ხელ ჩაკიდებული უნდა მუშაობდეს ჯარის სასურველ სიმაღლეზე დასაყენებლად, რომ ის ერთგულ დარაჯად დაუდგეს სამშობლოს და რევოლუციას. ომი უნდა გაგრძელდეს მანამდე, სანამ დარწმუნებული არ ვიქნებით, რომ ზავი, მართლაც თავისუფლების ზავი იქნება. საჭიროა მსხვერპლები და გმირობა. დეე ყველამ ახსოვდეს, რომ ჩვენი ქვეყანა გერმანიის ყმად არ უნდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკანასკნელი ფოსტა.

სამხედრო სამსახურის შეღავათის მქონე პირთა შემოწმების დროს პეტროგრადში ბოროტ-მოქმედება აღმოაჩინეს. 1800 მუშიდან ფულის საჭრელ სასახლეში 550 მუშა სახლის პატრონები, ვაჭრები და სხვა ხელობის ხალხნი აღმოჩნდენ. წითელი ჯვრის საზოგადოებაში ბევრი სასალდათო აღმოჩნდა უნივერსიტეტებში კურს დამთავრებულნი, რომლებიც კანცელიარიებში სულ უმნიშვნელო საქმეებს ასრულებდენ.

— იურიევის საზეითლო ინსტიტუტი ომსკში გადააქვთ.

— კორნილოვის საქმეს გაარჩევს სამხედრო რევოლიუციონური სასამართლო ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით.

— დემოკრატიის თათბირის უმრავლესობა კერენსკის უჭერს მხარს. „რაბ. გაზ." თქმით თათბირზე არ არის ორ ბანაკთა ისეთი მტრული გამიჯვნა, როგორიც მოსკოვის თათბირზე იყო. გაზეთი აფრთხილებს დემოკრატიას ერიდოს თავის წრეში ბრძოლის გაღვივებას. ბურჟუაზიული გაზეთები თათბირს თავდაჭერილათ ეპყრობიან.

გახდეს: ათავებს სამხედრო მინისტრი და მქუხარე ტაშს უკრავენ.

თათბირის თავმჯდომარე ჩხეიძის წინადადებით კრება ადგენს მოუსმინოს სხვადასხვა პოლიტიკური მიმდინარეობის წარმომადგენლებს გამოდიან ს.-რევ. ჩერნოვი, ს. დ. ბოლშევიკებიდან კამენევი; ს. დემ. მენშევიკთა უმცირესობიდან ბოგდანოვი, ს.-დემ. მენშევ. უმრავლესობიდან წერეთელი.

ტრიბუნაზე ადის ჩერნოვი. ჩერნოვი ეხება რუსეთის მიერ განვლილ გზას და კრიტიკას უკეთებს კოალიციას, რომ უკანასკნელი კოალიცია უკან ნაბიჯის გადადგმა იყო. ამ კოალიციის შემდეგ დემოკრატიის ფრონტი გაირღვა; დემოკრატიას მიუხედავად უთანხმოების, უნდა მხარი დაეჭირა შეერთებულ მოქმედებისთვის; როგორც კი ეს ერთობა გამოეცალა დემოკრატიას თავი წამოყვეს მისმა მტრებმა. ცენზიან ელემენტების შესახებ ჩერნოვი ამბობს, რომ ერთად ერთი ძირითადი საკითხი—მიწების საკითხი—რომელიც მთავრობაში დაისვა გადაუწყვეტელი დარჩა, რადგან იქ იყვნენ ცენზიანი ელემენტები. რაც რომ დემოკრატიამ დაჰკარგა მთლიანობა სოფლად დემოკრატიულ ორგანიზაციების გავლენა შესუსტდა, მთავრობაში მონაწილე ძალთა ბლოკი მოსკოვის თათბირზე ორ საქმეს აკეთებდა. გარედან აწვებოდა მთავრობას და იქიდან რეპრესიებს ახდენდა, ხოლო შიგ მთავრობაში ხელს უშლიდა შემოქმედებითი და კანონმდებლობითი მუშაობას. მთავრობის შედგენის შესახებ ჩერნოვი ამბობს, რომ საჭიროა დიდი კოალიციის შედგენა სხვადასხვა ელემენტებისაგან ერთი განსაზღვრული პროგრამით (ტაში) დასასრულ ჩერნოვი ლაპარაკობს რევოლიუციის იმ მტრების თავხედობის შესახებ, რომლებმაც გაბედეს მოსკოვის თათბირზე და ჩვენსკენ და მთავრობისკენ ისეთი ბრალდებები წამოისროლეს, თითქოს ჩვენ დამარცხების მომხრენი ვიყვეთ. ხოლო როცა კორნილოვი ჰინდენბურგს შეუერთდა, როცა ჯარი პეტროგრადისკენ წამოიყვანეს და ფრონტი გასტეხეს, მაშინ დაგვარწმუნეს, რომ თვით იყვნენ დამარცხების ჭეშმარიტი მოსურნენი. (მქუხარე ტაში) დასასრულ ჩერნოვი მოუწოდებს დემოკრატიას შეერთდეს რევოლიუციის და სამშობლოს დასახსნელათ.

(შემდეგი იქნება).

დეპეშები.

(პ. ტ. ს.)

16 სექტემბერი.

არჩევნები შვეციის პარლამენტში.

სტოკჰოლმი. რიკსტაგში არჩევნების დროს კონსერვატორებმა დაჰკარგეს 24 ადგილი, რომელთაგან 12 გადავიდა გლეხთა და მიწის პატრონთა კავშირისკენ, 12-იც სოციალისტურ პარტიებისკენ.

არეულობა.

ასტრახანი. სასურსათო კრიზისის გამო დაიწყო არეულობა. მუშათა მიტინგზე რეზოლიუცია გამოიტანეს, რომლითაც მოითხოვეს გადააყენონ ძველი რეჟიმის ქალაქის, ბირჟის და სასამართლოს მოხელეები.

სოც.-რევოლიუციონერთა ცენტრალურ კომიტეტის დადგენილება.

პეტროგრადი. სოც. რევოლიუციონერთა ცენტრალურმა კომიტეტმა დაადგინა მხარი დაუჭიროს კოალიციურ მთავრობის შედგენას მოსკოვის თათბირზე ჩხეიძის მიერ გამოქვეყნებულ პროგრამის საფუძველზე, ხოლო კადეტებთან კოალიცია უარჰყო. მთავრობა პასუხისმგებელი იქნება პარლამენტის წინაშე. დამფუძნებელ კრების მოწვევა უნდა მოხდეს დანიშნულ ვადაზე.

ერების ყრილობა.

კიევი. ნაციონალურ სოციალისტების პარტიის საბჭოს წარმომადგენელმა შტეინმა გააცნო ყრილობას საბჭოს წარმოშობის ისტორია და სთხოვა დამსწრე სოციალისტურ პარტიების წარმომადგენლებს მიიღონ მონაწილეობა საბჭოს შრომაში და დასასრულ განაცხადა: „ჩვენ მხარს დავუჭერთ ნაციონალურ თვითგამორკვევის იმ ფორმას, რომელიც იქნება ორგანიზაციულად შეკავშირებულ დემოკრატიის ნების გამომხატველი".

ხმები წინასწარ პარლამენტის შედგენაზე.

პეტროგრადი. „დეპუტატთა საბჭოს უწყებები" იტყობინება, რომ პოლიტიკურ წრეებში ხმები გავრცელდა მთელი ორგანიზაციულად მოწყობილ დემოკრატიისა და ცენზიან ელემენტებისგან წინასწარ პარლამენტის შედგენის შესახებ. წინასწარ პარლამენტის წინაშე მთავრობა პასუხს აგებს. ამის გამო ბურჟუაზიულ წრეებში საკითხი აღიძრა ზავის ჩამოგდებამდე დამფუძნებელ კრების მოწვევის გადადების შესახებ. დემოკრატიის ორგანოს ხელმძღვანელნი ამ პროექტის გამო პროტესტს აცხადებენ. ამის შესახებ „მ. დ. უწყებები" სწერს: წინასწარ პარლამენტი პირიქით უნდა აახლოვებდეს დამფუძნებელ კრების მოწვევას და ეს მისი მთავარი მიზანი უნდა იყოს".

პურის მონოპოლიის წინააღმდეგ.

ყაზანი. სოფ. დიდ სუმრუდში პურის მონოპოლიის შემოღების ნიადაგზე არეულობა მოხდა. მოჰკლეს სასურსათო გამგეობის თავმჯდომარე ზაპოლსკი.

ფინლიანდიაში.

ჰელსინგფორსი. გენერალ გუბერნატორმა ბრძანება გასცა, რათა სეიმის კარები დალუქულ იქნას, რომ თავისი ნებით არ შეიკრიბოს.

არეულობის ჩაქრობა.

ტამბოვი არეულობა ჩაქრეს. დარბეულ-განადგურებულია 42 სავაჭრო დაწესებულება. ზარალი მილიონს აღემატება. ბევრი მონატაცი საქონელი დაბრუნებულ იქნა. დააპატიმრეს 100-ზე მეტი არეულობის მონაწილე. გამოცხადდა სამხედრო წესები. ჯარის-კაცებს აეკრძალათ თავისი ნებით საავადმყოფოებიდან და ყაზარმებიდან წასვლა. აიკრძალა კრებები და მიტინგები.

ომის დეპეშები.

(პ. ტ. ს.)

მოგილიოვი. შტაბის ცნობით 12 სექტემბერს ფრონტზე ასეთი მდგომარეობა იყო: ჩრდილოეთით, ზეგევოლდის ახლოს, ზარბაზნების და თოფების სროლა. იაკობშტადტიდან ჩრდილოეთით, 20 ვერსის მანძილზე, მტერი ზარბაზნებს უშენდა მიზის და გეტერვოლდის რაიონებს. ჩვენმა ბატარეიამ ძლიერი სროლა აუტეხა მტერს ლევენჰოფთან. დასავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ ფრონტებზე სროლა. რუმინიის ფრონტზე, სერეტის ახლო, მტერმა საშინელი სროლა ატეხა, შემდეგ ქვეითი ჯარი იერიშით წამოვიდა და ჩვენ თხრილებში შემოიჭრნენ, მაგრამ კონტრ-იერიშით უკუაქციეთ.

პეტროგრადი, 15 სექტემბერი. სამხრეთ-დასავლეთის, ჩრდილო დასავლეთისა და რუმინიის ფრონტებზე ჩვეულებრივი სროლა.

კავკასიის ფრონტზე ჩვენმა მზვერავმა რაზმებმა დაიკავეს ორომანი, რომელიც ნერის დასავლეთით 35 ვერსის მანძილზე მდებარეობს.

ბალტიის ზღვაში, 13 სექტემბერს, კუნძულ ეზელის სამხრეთ ნაპირთან, მტრის ნაღმს წააწყდა და ჩაიძირა ჩვენი სადესანტო ნაღმოსანი „ოხოტნიკი". საღამოს ნაპირთან გამოაგდო ზღვამ ნავი 11 მეზღვაურით, მათში ოთხი დაჭრილნი. აფიცრები ყველანი დაიღუპნენ.

ჩვენმა მფრინავებმა ყუმბარები ჩაყარეს ოსმალების ჯართა ბანაკში, კალიტისა და კემახის დასავლეთით.

დეპეშა

ოზურგეთი. ოზურგეთის ქალაქის საბჭო, შეუდგა-რა თავის მოვალეობათა ასრულებას, ვალდებულად რაცხს თავის თავს მიესალმოს ტფილისის ქალაქის საბჭოს, როგორც უფროს ამხანაგს კავკასიის დემოკრატიის საუკეთესო იდეალებისთვის ბრძოლაში. ოზურგეთის ქალაქის საბჭო მზათ არის პირველ დაძახებისთანავე გამოვიდეს რევოლიუციისა და ქვეყნის დასაცავად; იგი სთხოვს ტფილისის ქალაქის საბჭოს—აიღოს თავის-თავზე ამიერ-კავკასიის ქალაქთა წარმომადგენლების ყრილობის მოწვევა ქალაქის თავების მოქმედების საერთო გეგმის შესამუშავებლათ.

ვიქტორ ღლონტი.

ახალი ამბები

სამშაბათს, 19 სექტემბერს, საღამოს 7 საათზე ბიუროს ბინაზე (გოლოვინის პრ. № 12) დანიშნულია რ. ს. დ. მ. პ. ტფილისის კომიტეტის წევრთა კრება.

◆ **კავკასიის რევოლიუციონურ კომიტეტს** ატყობინებენ ტაშკენტიდან, რომ ქალაქში მთელი ძალა-უფლება მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭომ აიღო ხელში.

◆ **მუშათა კომისიაში.** კავკასიის მუშათა დეპუტატების საბჭოთა ცენტრთან არსებულ მუშათა კომისიის თავმჯდომარეთ აირჩიეს ამხ. ს. პაიჭაძე, თავმჯდომარის ამხანაგათ ვ. სოჩნევი; მდივნათ ს. ბოგდანოვი. კომისიის სხდომები ხდება კვირაში ორჯერ, ორშაბათობით და ხუთშაბათობით.

◆ **ჯამაგირების გადიდება.** ქართვ. შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებამ თავის სკოლების მასწავლებლებს თვიური ჯამაგირი 20 მან. გაუდიდა. ამნაირათ მასწავლებლები ახლა ღებულობენ თვეში 80 მან., ბინას, შეშას და სხ.

◆ **მუშათა შორის.** რესტორანებში, კლუბებში, სასტუმროებში და საჩაიე-ყავახანებში

მოს,
გამგე
თანახმა.
ბისა სამი
გადაიდოს სა
გატთა კრებამ
ონის წარმომადგენ
ედეს შაბათის, კვირ
სავალი, ამავე დროს ბ
თოლ ყველა წევრებს წარ
წიგნაკები. ეს წიგნაკები გა
გისტრაციის შემდეგ შეიცვლე
ნაკებით. ვისაც ასეთი არა აქვს,
გენლებს ევალებათ თანახმათ შ
გეგმისა შეაგროვონ ცნობები და სა
გისტრაციის შემდეგ მიიღებენ წიგნაკ

◆ **ერთობის უბნის მუშათა კლ**

დღეს წარმოდგენილი იქნება „ზაიყუში" „ტიმოთეს ლილვი". ადგილების ფასი ჩვეულებრივია. დასაწყისი საღამოს 8 ნახ. საათზე.

◆ **სასკოლო კომიტეტში.** ამიერ კავკასიის სამოსწავლო ოლქის კომისარიატთან არსებულ სასკოლო კომიტეტში ქალაქის გამგეობამ თავის წარმომადგენლებათ აირჩია გ. კონიევი, ლ. იშკოვი, ალ. ლომთათიძე, მელიქ-ასლანოვი, გ. ყარაჯიანი, გ. ვეშაპელი, ს. ალდადანოვი და ს. ჩემოდანოვი. სასკოლო კომიტეტის დანიშნულებაა სკოლის ნაციონალიზაციის გამო ტფილისის საშუალო სასწავლებელთა განაწილება ეროვნებათა შორის.

◆ **პედაგოგიურ საბჭოში.** ამიერ-კავკასიის სამოსწავლო ოლქის კომისარიატთან არსებულ ეროვნულ პედაგოგიურ საბჭოში თავის წარმომადგენლებათ აირჩიეს: ქ. შ. წ.-კ. გამავრცელებელ საზოგადოებამ—დ. კარიჭაშვილი, ლ. ბოცვაძე და ვ. ბურჯანაძე; ინტერპარტიულ საბჭომ—ვ. ყიფიანი, ე. ჩიგოგიძე და პ. ქავთარაძე; საზოგადოება „განათლებამ"—ნიკო შარაშიძე, კასრაძე და ლომია.

◆ **შეწირულება.** ცნობილმა მდიდარმა ლ. მანთაშევმა სომხურ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებას შესწირა 400 ათასი მანეთი სასოფლო-სამეურნეო სკოლების მოსაწყობათ და 200 ათასი მანეთი სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და იარაღების შესაძენათ.

◆ **კანტორა „განათლება"** გვთხოვს გამოვაცხადოთ ლეო ქიაჩელის წიგნის „ტარიელ გოლუას" მკითხველთა საყურადღებოდ, რომ რამდენსამე ეკზემპლიარში ამკინძავის დაუდევრობით ჩართულია უვარგისად დაბეჭდილი ფორმები და სხვა წიგნის ფურცლები. კანტორა სთხოვს, ვისაც შეხვდა ასეთი ეგზემპლიარი, დაუყონებლივ დაუბრუნოს გამოსაცვლელად, სადაც წიგნი შეიძინა.

◆ **ხორბალი.** 14 და 15 სექტემბერს ტფილისში შემოიტანეს 3 ვაგონი ფქვილი, 7 ვაგონი შეშა და 2 ვაგონი ქართოფილი.

კრებები და მიტინგები

დღეს, საღამოს 5 ს., საქალებო სასწავლებლის „გაიანიან"-ის შენობაში (აბას-აბადის მოედანის ახლოს) დანიშნულია ახალგაზრდა სოციალისტ-ინტერნაციონალისტთა ორგანიზაციის წევრების საზოგადო კრება. აქვე შეიძლება წევრებათ ჩაწერა.

— დღეს, საღამოს 7 ს. ვერის პირველ დაწყებითი საქალებო სკოლაში (ოლღას ქ. № 14) დანიშნულია ტფილისის პირველ-დაწყებითი ყველა ტიპის და უწყების სკოლების მასწავლებელთა საზოგადო კრება. აარჩევია წარმომადგენელი სასკოლო კომიტეტში.

პარტიული პრესის გავრცელება

(კომისიის დადგენილება)

მიმდინარე წლის პირველი ოქტომბ. ჩვენი პარტიული ორგანოების: „ერთობა", „Борьба", ფიქარი"-ს ქალ. თფ. გავრცელების საქმე გადადის რაიონული კოლექტივების ხელში. ხელის მოწერა დასახელებულ გაზეთებზე მიიღება ყველა რაიონულ კოლექტივებში და ამასთანავე, კოლექტივის რწმუნებულ პირთან. თვითეული რაიონი თავისით მოქმედობს გაზეთების გავრცელების საქმეში, რედაქცია უთმობს რაიონს 20% ს, რაიონი კი აწარმოებს საქმეს, ურიგებს გაზეთებს ხელის მომწერლებს ამ პროცენტის შემოსავლით. ხელმოსაწერი წიგნაკები რედაქციის ხარჯით იბეჭდება. ქალაქის ყველა ხელის მომწერლები, რომლებიც კანტორა „განათლებას" ყავს, რაიონის ხელში გადადის. კომისიამ ერთხმათ სასურველათ აღიარა პროვინციაშიაც გაზეთების გავრცელება ასეთი წესით. რედაქციას ევალება დაუყონებლივ საკვიტანციო წიგნაკების დაბეჭდვა. რაიონებს წინადადება ეძლევა დაუყონებლივ შეუდგენ ხელის მომწერლების შოვნას. ამასთანავე რაიონებს ევალება ამ თავიდანვე შეუდგენ შესაფერი და იდეიური ამხანაგებისაგან შემდგარ გაზეთის დამტარებლების გამონახვას.

კომისიის წევრები: **ნ. კამოვსკი, ხ. ელიავა, დ. ბაცანკლიშვილი** და **გ. თევდორაშვილი.**

პროვინციის ქრონიკა.

თელავი. სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის კრება შესდგა 4 სექტემბერს, რომელსაც ორმოცამდე წევრი დაესწრო და გაგრძელდა ორი დღე. კრებას თავმჯდომარეობდა კ. ანდრონიკაშვილი. განიხილეს მეტად საყურადღებო კითხვები: სურსათის კითხვა. დაადგინეს: მტკიცე ფასებში ჩამოართვან პური ყველა იმათ, ვისაც ზედ-მეტი აქვს მაზრაში და განაწილდეს რაიონებში. დიდხანს იკამათეს ტყის და საძოვრების შესახებ. გლე-

აზან.
და გლეხ.
კუთარ ბე
მელიც უნდა
ციონურ დემოკ
მე ჩვენ ვიკისრეთ
მძიმე მოვალეობის პ
სადსარის უქონლობის
მეცადინეობა და საშვალ
დაბრკოლებების დასაძლევ
გზაზედ ჩვენ წინ გადაგვეღო
ვიცით, რომ ჩვენსკენ არის
დახმარება ყველა შეგნებული
რისკაცებისა და გლეხებისა და

ენა გვიადვილებს ჩვენს შრომას და აძლევს რევოლიუციონურ ცენტრს გაბედულობას შეურყევლად მიიყვანოს ბოლომდის დაწყებული რევოლიუციონური საქმე.

კავკასიის რევოლიუციონური ცენტრის გადაწყვეტილების სისრულეში მოსაყვანათ ცენტრის პრეზიდიუმი მოუწოდებს ფრონტისა და ზურგის აღმასრულებელ კომიტეტებს, ყველა რევოლიუციონურ ორგანიზაციებს, მუშებს, ჯარისკაცებს და გლეხებს, გაუწიონ ამ განსაცდელის დროს ნივთიერი დახმარება თავისი ფულებით აღჭურველ ორგანოს—კავკასიის მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა საბჭოების ცენტრს. ამ დახმარებისათვის მიზან შეწონილ ხასიათის მისაცემათ საჭიროა ყველა მუშებმა და პროფესიონალურმა ორგანიზაციებმა, მუშების ნებართვით, გამოაცხადონ 30 სექტემბერი 1917 წ. კავკასიის მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა საბჭოების ცენტრის დღეთ და ამ დღის ხელფასის ნახევარი გადასცენ დასახელებულ მიზნისათვის. ყველა დანარჩენ ორგანიზაციებს—გლეხთა კომიტეტებს, კავშირებს და საბჭოებს ევალებათ მიიღონ სათანადო ზომები ამავე რევოლიუციონურ ცენტრის ნივთიერ დახმარების შესაგროვებლათ.

ამხანაგებო მუშებო, ჯარისკაცნო და გლეხებო! სიტყვა თქვენზეა. დაუმტკიცეთ ყველას, რომ თვითეული თქვენგანის რევოლიუციონური გულის ძგერა, საერთოა რევოლიუციონურ ცენტრის გულის ძგერასთან. იყავით დარწმუნებულნი, რომ თვითეული კაპეიკი, რომელსაც თქვენ შემოიტანთ ცენტრის კასაში, დაიხარჯება რევოლიუციის მიუდგომელ და უძლეველ სიმაგრის ასაშენებლათ.

კავკასიის ცენტრი მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა საბჭოებისა.

ამიერ-კავკასიის ერობა

ერობის შემოღებას ჩვენი ხალხი დღე-დღეზე მოელის. ამიტომ ინტერესს მოკლებული არ იქნება გავაცნოთ მკითხველებს, თუ რა გაკეთდა ამ საქმის წინ წასაწევად დღემდე. უნდა აღინიშნოს, რომ ადგილობრივათ ბევრი არაფერი არ გაკეთებულა, საკითხის უმთავრესი მხარე „გადატანილი" იყო პეტროგრადში, იქიდან მოელოდა ამიერ-კავკასიის საგანგებო კომიტეტი სახელმძღვანელო წესებს, დაბოლოს, ასეთი „წესები" მან მიიღო და მათში უმთავრეს საქმეთ აღიარებულია ჯერ ამიერ კავკასიის ხელ ახალი გადამიჯვნა, შემდეგ ერობის შემოღება,

ასე რომ, ადგილობრივათ რომ ბევრი არაფერი გაკეთებულა. ეს ყველამ ვიცით. საინტერესოა ვიცოდეთ, რა გაკეთდა იქ, პეტროგრადში, მაშ, მოვუსმინოთ:

დროებითი მთავრობის განკარგულებით მარტში შინაგან სამინისტროსთან შესდგა საგანგებო თათბირი, რომელსაც დაევალა ადგილობრივ თვითმართველობათა შესახებ პროექტების შემუშავება. ამ თათბირმა თავის წრიდან გამოყო კომისია, რომელსაც უნდა შეემუშავებინა პროექტები ისეთი ადგილებისათვის, სადაც დღემდე არ იყო შემოღებული ერობა. კომისიის შემადგენლობა უნდა შევსებულიყო პოლიტიკური, ნაციონალური და ადგილობრივ საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლებით. ვინაიდან ამიერ-კავკასიაში ერობის შემოღება საჩქარო საქმეთ სცნეს, სამინისტრომაც პირველად ამ საქმეს მოჰკიდა ხელი. ყოველ მხრივ საკითხის გარჩევა ზემოხსენებულ კომისიას მიენდო, სადაც მოწვეულ იქნენ ამიერ-კავკასიის პოლიტიკური და ნაციონალური ორგანიზაციების წარმომადგენლნი, რომელნიც პეტროგრადში იყვნენ შეკრებილნი საგანგებო თათბირზე და-

იც
ლათ.
ეობა განი-
ლის თანახმად
ული ერობანი მო-

პეტენცია გაფართოვებული
ობრივი პირობების მიხედვით
ს საქმეთა გამგეობა).
ერობა იქნება საგუბერნიო ან საოლქო,
ამაზრო და სასოფლო.

5. საგუბერნიო და სამაზრო ერობანი არსდებიან ახალ ადმინისტრატიულ საზღვრებში. (იხ. საგანგებო აზრი ადმინისტრატიული გადამიჯვნის შესახებ.

6. წვრილ საერობო ერთეულს საფუძვლათ დაედება ერთი ეროვნებით დასახლებული ოლქი, რამდენათაც ეს შესაძლებელი იქნება. მცხოვრებთა რიცხვი უნდა აღწევდეს 10 დან 15 ათასამდე. სასურველია არსებული სოფლის საზოგადოებათა არ დაყოფა.

7. წვრილ საერობო ერთეულებათ ტერიტორიის დანაწილება და აგრეთვე სხვა წინასწარი მუშაობის მოსამზადებლათ მაზრაში ერობის შემოღების შესახებ—ყოველ მაზრაში სდგება საგანგებო კომისია. საკითხის საბოლოოთ გადაჭრა სასოფლო ერობათა შესახებ ენდობა მომავალ საერობო კრებებს.

8. ერობის არჩევნები ხდება პროპორციონალური ხმის მიცემის სისტემით, ხმის მიცემა უნდა მოხდეს წერილობით. ამ წესითვე ხდება არჩევნები სასოფლო ერობისა. იმ ადგილებში, სადაც მომთაბარე ხალხი ცხოვრობს, არჩევნები ხდება იმ ალაგას, სადაც ეს ხალხი არჩევნების დროს იქნება დაბინავებული.

9 რათა ერობის აღმასრულებელ ორგანოში უზრუნველ-ყოფილ იქნას სხვადასხვა საზოგადოებრივი, პოლიტიკური თუ ეროვნული ჯგუფების წარმომადგენლობა, დაიშვება უმცირესობის სურვილის თანახმად, პროპორციონალური წარმომადგენლობა, უკეთუ ეს უმცირესობა ხუთ კაცზე ნაკლები არ არის.

10 იმიერ კავკასიის ყველა საგუბერნიო ქალაქები უნდა გამოყოფილ იქნან დამოუკიდებელ საერობო ერთეულებათ, რომელთაც მიენიჭება სამაზრო ერობათა უფლებანი. ყველა სამაზრო ქალაქები და აგრეთვე მაზრაში მდებარე ქალაქები, თუნდაც ამ უკანასკნელებში დიდ-ძალი მცხოვრებნი ცხოვრობდენ, სამაზრო საერობო ერთეულებათ არ გამოიყოფებიან, ვინაიდან ასეთი საშვალებით შესაძლოა ამ ქალაქთა და მაზრის მცხოვრებთა შორის არსებული ეკონომიური და სამეურნეო კავშირი დაირღვეს.

11. ბაქოს სამრეწველო რაიონი დამოუკიდებელ საერობო ერთეულად არ გამოიყოფა და არც შეიძლება ქალაქ ბაქოს შეუერთდეს ეს რაიონები, ვინაიდან, ასეთ შემთხვევაში, კითხვა დაისმებოდა ამ რაიონში საქალაქო თვითმართველობის შემოღების შესახებ, რაც ერობის შემოღების საქმეს გააჭიანურებდა. ამასთან, მუდმივი მიჯნის უქონლობა საწარმოვო რაიონებისა მაზრისაგან და მაზრის ფინანსიური ხელმოკლეობა საწარმოვო რაიონების გამოკლებით, გვიკარნახებს საწარმოვო რაიონების დამოუკიდებელ საერობო ერთეულებათ არ გამოყოფას.

რაც შეეხება ამიერ-კავკასიის საგუბერნიო და სამაზრო გადამიჯვნას, ამ საკითხის შესამუშავებლათ კომისიამ შეადგინა მცირე კომისია. სამინისტრომ საჭიროთ დაინახა კომისიის მუშაობით ესარგებლნა და საჩქარო წესით შეემუშავა ასეთი გადამიჯვნის პროექტი და 25 ივლისს წარუგზავნა ამიერ-კავკასიის საგანგებო კომიტეტს თავისი აზრის გამოსათქმელად.

ამ ჟამათ სამინისტრო ამუშავებს პროექტს, რომელიც შეეხება კავკასიაში წყლების საქმეს.

ამას გარდა, სახელმწიფო სახალხო განათლების კომიტეტში წინასწარ განსახილველად სამინისტრომ საკითხი აღძრა, რომელიც შეეხება ერობის შემოღებით გამოწვეულ სასკოლო საქმის ახალ ნიადაგზე დაყენებას და ახლად დაარსებულ საერობო დაწესებულებებში ადგილობრივი ენების ხმარებას.

აი, მოკლეთ ის, რაც გაკეთებულა პეტროგრადში და რაც სამინისტროს კანცელარიამ ამ დღეებში გვამცნო.

მარქსისტ მოწაფეთა კავშირის კოლექტივში

14 სექტემბერს მოხდა ამიერკავკასიის მარქსისტ მოწაფეთა კავშირის თბ. ორგანიზაციის კოლექტივის წევრთა კრება. წევრების გამოცხადება [illegible] ამხანაგებმა [illegible] მუშაობის სხვადასხვა საკითხები და გამოირკვა, შემდეგი დადგენილებ[illegible]: ორგანიზაციის განმტკიცებისათვის და [illegible] საერთოდ [illegible] პროგრამის [illegible] კომისია, რომელშიაც შევიდნენ: ქ. ბაქრაძე, გ. ნაცვლიშვილი [illegible]; დაუყოვნებლივ [illegible] ორგანიზაციის გამომცემი ფონდი; ამასთანავე თბ. კოლექტივის სახელით გაეგზავნოს [illegible] კოლექტივებს ხარჯების [illegible] ანგარიში და ეთხოვოს მათ სიტყვიერი დახმარება; განსაკუთრებული პირობების მიხედვით გადიდებულ იქნას ადგილობრივ საწევრო გადასახადი. დაწესდეს: ორგანიზაციაში შესავალი ერთდროული გადასახადი—1 მან., თვიური საწევრო 50 კაპეიკი (წევრების ჩაწერა დროებით მოხდება ამხ. ე. კალანდარიშვილთან ვაჟთა მე-6 გიმნაზიაში—სადგურისწყლის ქ. № 3); მიღებულ იქნას ორგანიზაციაში არა მოწაფე წევრებიც; ამის მიხედვით კავშირს უნდა ეწოდოს არა მოწაფეთა, არამედ—ახალგაზრდათა კავშირი; დაუყოვნებლივ შეძენილ იქნას საკუთარი ბეჭედი და მოწვეულ იქნას 1 ოქტომბრისათვის თბ. ორგანიზაციის წევრთა საერთო კრება.

რადგანაც ბევრი ისეთი კითხვები დაიბადა, რომლების გადაჭრის უფლება თფილისის ორგანიზაციას წესდების დაურღვევლად არა აქვს, კრებამ აუცილებელ საჭიროებად აღიარა ახლო მომავალში კონფერენციის მოწვევა, რომელმაც უნდა განიხილოს ზემო აღნიშნული კითხვები და აგრეთვე გადაჭრას ხელახლა კავშირის წესდება. პრეზიდიუმს დაევალა შეეკითხოს პროვინციელ კოლექტივებს კონფერენციის მოწვევის საკითხის შესახებ და ამასთანავე გაუგზავნოს მათ კონფერენციის განსახილველი საერთო საკითხები. მ. ჩაჩუა.

სოც.-დემ. პარტიაში.

გურია.

გურიის სოციალდემოკრატიული ცენტრ. კომიტეტის კრება შესდგა აგვისტოს 25—26 ს; დაესწრნენ წარმომადგენლები ყველა რაიონებიდან 45 კაცამდე. კრებამ მოისმინა და მოიწონა მოხსენება კომიტეტის პრეზიდიუმისა თავისი მუშაობის შესახებ. კრებამ დაამტკიცა ამხ. ვ. ლეონტის მოხსენება სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტისა და კომისარიატის მოქმედებისა და პრეზიდიუმის მიერ შემუშავებული რეგლამენტი კომიტეტისა და სარაიონო კოლექტივების კრებების წარმოების შესახებ. კომიტეტმა გამოიტანა შემდეგი დადგენილებანი: „გამოეცხადოს ამხ. ვ. გოგუაძეს თანაგრძნობა დევნის დროს დაჭრის გამო, გამოეცხადოს აგრეთვე მადლობა ექიმ მუხაძეს გოგუაძის ექიმობისათვის. ნუხუაძეზე თავდასხმის გამოძიება მიენდოს საგანგებოთ არჩეულ კომისიას.

მიენდოს ამავე კომისიას დევნილი ამხ. კიკია მამულაიშვილის მოკვლის საქმე გამოსაძიებლად. მასვე გადაეცეს დატუსაღებულ იმნაიშვილისა და ხალვაშის თავდებს ქვეშ გაშვების შესახებ შუამდგომლობის განხილვა. პასუხისგებაში მიცემულ რეაქციონერთა გასამართლება მოხდეს აუცილებლათ ადგილობრივათ, აქვე შემდგარ რევოლიუციონურ სასამართლოს მიერ. ეს ეცნობოს საგუბერნიო აღმასრულებელ კომიტეტს. ქალთა განცალკევებულ ორგანიზაციის დაარსების უარყოფის შესახებ ძალაში დარჩეს კომიტეტის წინანდელი დადგენილება. ჯუმათის რაიონის წარმომადგენლის განცხადება (მიწის საკითხის შესახებ) გადაეცეს სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტს.

დაევალოს პრეზიდიუმს მოიწვიოს არხიპო ახალაძე და კულტურული საზოგადოებით დაითანხმოს ის, გადასცეს ნინოშვილის საზოგადოებას სამეურნეო სკოლისათვის მის მიერ ერისთავისაგან შეძენილი მიწა.

გამოცხადდეს გაზეთებში, რომ სხვადასხვა დროს სამუელ გურიელიძე, ირაკლი მენთეშაშვილი, მურად ორაგველიძე, თეოდორე ბროლიშიძე, მიხეილ ცეცხლაძე, მ. შალიკაშვილი მ. ლომაძე, მელიტონ თავართქილაძე, გ. ურატაძე, მელქისედეკ გურიელიძე, ნიტონ ხარჯელაძე და სხვები სხვადასხვა დროს მოკლულ იქმნენ პოლიტიკურ ნიადაგზე. მიეცეს წინადადება სამაზრო სამხედრო და აღმასრულებელ კომიტეტებს გადასინჯონ ხაზინის „პაიკების" მიმღებ ჯარისკაცთა ოჯახების სიები, გამორიცხონ მათგან უკანონოთ შეტანილი პირები და შემდეგშიაც შეადგინონ კანონის თანახმად და სისწორით შეადგინონ ეს სიები. მიენდოს პრეზიდიუმს მიიღოს ზომები ყელა-ენდილუის შესათანხმებლად სკოლისა და სხვა საკითხში. მიენდოს საგამომძიებლო კომისიას კომიტეტის წევრ გიორგი ლომინაძეზე შემოსულ საჩივრებისა და ბრალდებების გამოძიება. მიეცეს წინადადება სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტს აარჩიოს სამაზრო სასურსათო-სამეურნეო კომიტეტის თავმჯდომარეთ ამხ. მიხა საბაშვილი. ფორმალურათ დარჩეს დამფუძნებელი კრების სამაზრო ინსტრუქტორათ ამხ. გრ. კოპალეძე [illegible].

დატუსაღებულ იქმნას ერთი კვირის ვადაში ყველა თავდებს ქვეშ გაშვებული რეაქციონერები: დ. დუმბაძე, მგელაძე, ქარცივაძე, ჯაყელი, თაყაიშვილი, ორბელიშვილი და სხვები. დაევალოს სამაზრო აღმ. კომიტეტს და გზის [illegible] განსახილველად [illegible] კომისიას. არჩეულ იქნენ [illegible] საგამომძიებლო კომისიაში: [illegible] რ. რამიშვილი, გრ. მახარაძე, [illegible] სასამართლოში: ამხ. რ. კონტრიძე, [illegible], გიორგაძე, კოლია წილოსანი.

ხუსიან.

თ ბ ი ლ ი ს ი.

13 სექტემბერს, მოხდა თფ. მე-4 რაიონული კოლექტივის მორიგი სხდომა, სადაც სხვადასხვა კითხვებთა შორის გაირჩა და საბოლოოდ გადაწყდა რაიონის გაყოფა. ამ მიზნით კოლექტივი იწვევს მე 4 და მე 5 სამილიციო უბნებში, ადგილობრივ პარტიულ საერთო კრებას. ამ კრებამ უნდა ამოირჩიოს გამგე კოლექტივი, რომელიც იქნება მე 6 კოლ. თბილისში. კოლექტივმა გადასწყვიტა მთელის შემადგენლობით დაესწროს ამ კრებას, გააკეთოს მოხსენება თავის მოქმედების შესახებ და უხელმძღვანელოს ახალი კოლექტივის (მე 4 და მე 5 სამილ. უბნებისათვის) არჩევნებს. აღნიშნული კრება მოხდება სამშაბათს, 19 სექტემბერს საღ. 7 საათზე. ადგილი ცალკე იქნება გამოცხადებული.

მდივანი ე კალ—დი.

მუშათა შორის.

თფილისის აფთიაქართა ეკონომიური საზოგადოება. 12 ივლისს შეიკრიბენ განყოფილების მოსამსახურენი და შეიმუშავეს მოთხოვნა—50 პროცენტით ჯამაგირის მომატება. ამაში მონაწილეობა არ მიუღია მუშა-ხელოსნებს, აქ ხელოსნები არიან: მკერვალები 40 კაცამდე, მეჩექმე 20 კაცი, მქუდე 7 და შავი მუშა 14 კაცი. მოსამსახურეებმა სიქვეს, ვინც შეადგენენ დიდ ძალას, ამათაც უნდათ ჯამაგირის მომატების მოთხოვნა, და გადასწყვიტეს შეერთებულის ძალით უფრო მოეგებათ. და კიდევაც ასეც მოხდა. დანიშნეს საერთო კრება ნოქრებმა და კანტორის მოსამსახურეებმა, მოიწვიეს ყველა ხელოსნები და მუშები. დასდევს პატიოსანი სიტყვა: მაგრამ ყველა მოთხოვნებს საერთოდ არ დაგვიკმაყოფილებენ, ისე ცალკ-ცალკე არავის დაკმაყოფილება არ მიიღოთ, თუნდაც საერთო გაფიცვა მომხდარიყო და შეიმუშავეს მოთხოვნის პირობები: 1) თვიური ჯამაგირის მომატება 50-დან 100 პროცენტამდე; 2) საჩუქარი შობა-ახალ წელს და აღდგომას; 3) წელიწადში ერთი თვე თავისუფლება ჯამაგირის შენახვით; 4) ერთი თვე ავადმყოფობის დროს სრული ჯამაგირი და წამლობა საზოგადოების ხარჯზე; 5) დაარსება მუდმივი საორგანიზაციო კომიტეტისა, რომელიც ყველა კონფლიქტს გაარჩევს. ეს მოთხოვნილებანი წარუდგინეს გამგის თანაშემწეს. გამგე კი, პრაპორშჩიკი ბატონი ივანოვი მაშინ როსტოვში ბრძანდებოდა და დეპეშით შეატყობინეს რიცა ჩამოვიდა, სთხოვა მოსამსახურეთა და ხელოსნებს, რომ ორი კვირა ცოტა მოგვეცათ პასუხისათვის და ვეცდები თქვენი მოთხოვნილებანი სავსებით დავაკმაყოფილოთო. გავიდა ორი კვირა; ბატონმა გამგემ სხვა ხერხს მიმართა,—შეკრიბა ხალხი და უთხრა: თქვენში ბევრი ჯარისკაცია შეღავათით დატოვებული და ყველა უნდა ჯარში გავგზავნო, თუ თქვენს მოთხოვნილებებს დროებით არ გადასდებთო. ჩვენც, ამხანაგების თხოვნით, რომ ისინი დარჩენილიყვნენ, დროებით დავთანხმდით, მაგრამ გამგემ ამ დროში შეკრიბა ყველა შეღავათიანები, რიცხვით 36 კაცი, დაითხოვა ყველანი და გაგზავნა პოლკში. მაშინ ჩვენ მოვითხოვეთ ჩვენი მოთხოვნილებების პასუხი: კიდევ გვატყუებდა დღეს-ხვალობით. ასე გაატარა მთელი ორი თვე. შემდეგ გამოუცხადა ნოქრებს და კონტორის მოსამსახურეთ, ზოგს 10 პროცენტი, ზოგს 15 პროცენტი მომატება, მკერვლები და მეჩექმეები კი სრულიად დაითხოვა. თვიური ჯამაგირი მოსპო, 8 საათის სამუშაო დღე გააუქმა და შემოიღო ნაჭრობით მუშაობა, რაზედაც მკერვალებმა უარი განაცხადეს იმ იმედით, რომ დანარჩენებიც ასე მოიქცეოდნენ. ბ ნმა გამგემ არც კი გვადროვა, რომ მოგველაპარაკა, გამოგვტაცა ხელიდან საქმე, დაკეტა სამუშაო და გაგვისტუმრა ქუჩაში. დანარჩენი ჩვენი ამხანაგები,—ნოქრები და მოსამსახურენი,— ქედ მოხრილნი განაგრძობენ მუშაობას. ეხლა უნდა ვკითხოთ მათ: სად არის მათი პატიოსანი სიტყვა... გრცხვენოდეთ, „ამხანაგებო"! ჩვენ კი ჩვენი მოთხოვნილებები გადავეცით მუშათა ინტერესების დამცველ ორგანიზაციას და, იმედია, გავიმარჯვებთ კიდევაც!

გიორგი ალათაიშვილი.

ნაძალადევი

პურის საქმე ასეა თუ ისე, მიეწყო, მაგრამ გასათბობი მასალის შესახებ არ ისმის რა. შეშა ისედაც ძნელი საშოვარია, მაგრამ ნაძალადევში მცხოვრებთა მესამედის გარდა შეშას არ ხმარობენ. შეშისათვის იშვიათად ნახავთ აქ ბუხრებს მოწყობილს. უმრავლესობა ხმარობს—ნახშირს. ადგილობრივმა საერთო კომიტეტმა გადადგა ერთი ნაბიჯი ნახშირის შეძენის საქმეში, მაგრამ ჯერ კიდევ ვერ იშოვა შენობა, სადაც შეიძლებოდა ნახშირის შენახვა და იქიდან მცხოვრებთათვის განაწილება. მცხოვრებთათვის რა თქმა უნდა ნახშირი უფრო ხელსაყრელია. საჭიროა საჩქარო ზომები მიიღოს სასურსათო კომიტეტმა ნახშირის შესაძენად, წინადმდეგ შემ[illegible] შიმშილობას დაე[illegible].

წესიერების დასაცავად ვერ არის აქ მიღებული სათანადო ზომები. ამას წინედ ნაძალადევის თეატრის წინ, საღამოს 9 საათზე მოჰკლეს ერთი ახალ გაზრდა ყმაწვილი შახიტაშვილი. მკვლელი დეზერტირი იყო, რა იქნა მკვლელი, ან რისთვის მოჰკლეს კაცი? ამისთანა უწესობა აქ ხშირია. 11 სექტემბერს, შუადღის პირველ საათზე, სასტიკად სცემა გამოშვილმა ჯარისკაცმა რძალი მოგაჯრე ქალს. ქალი გაიქცა, მაგრამ დაეწია და წიხლებით დაუწყო ცემა. იმავე ჯარისკაცმა დაიჭირა ორი ქალი და ერთი მათგანი ქუჩაში აათრია. ვერავინ ვერ უშველა საწყალ მსხვერპლს, ვერც მილიციონერმა და ვერც სხვებმა, მერმე ვიღაცა ჯარისკაცები გამოჩნდნენ და ხელზე აყვანილი წაიყვანეს ქალი სამილიციო უბანში. ამას ზედ დაურთეთ პროვოკაციული ხმები. ნაძალადევში მცხოვრები ზოგიერთი რუსები ყიდიან მაგარ სასმელებს და ამას იმით ასაბუთებენ, რომ ჩვენ ქართველები არ გვაყენებენ აქ, „გვსაქმეს არ გვაძლევენ" და სხვა ნაირად როგორ მოვიქცეთ, თუ არა ასეო. ამისი მაგალითები ბევრი ვიცით. საჭიროა ყოველივე ზევით ჩამოთვლილ ფაქტებს ყურადღება მიექცეს და ყოველივე არა სასურველი მოვლენა ძირშივე იქნას მოსპობილი. უპირველესად უნდა მოისპოს ღვინის მალულად გაყიდვა.

გ. გუბელი.

ჯარის-კაცთა წერილები.

ხრამიდის ველიდან. ყველამ კარგათ იცის თუ რანაირ კრიტიკულ მდგომარეობაში იმყოფება დღეს თავისუფალი რუსეთი. ჩვენი მოვალეობაა მიზნათ დავისახოთ და შეერთებულის ძალით გავუმკლავდეთ და დავიხსნათ დიდებული თავისუფლება ყველა ნაირ მტრისაგან. მაგრამ ამაზე, საუბედუროთ, ზოგიერთი არ ფიქრობს. ზოგი ჩვენი ამხანაგები საერთო ძალის დაქსაქსვაში და ცალ ცალკე გზით სიარულში ჰპოულობენ სიძლიერეს. ამას მიუწერენ დღეს ზოგიერთი ქართველი აფიცრების და ჯარის კაცების მოქმედება. მოდიან და გვეუბნებიან, რომ ქართულმა ცენტრალურმა კომიტეტმა გადასწყვიტა უნდა შეადგინოს ქართული პოლკები და ამისათვის მოუწოდებენ ქართველ ჯარის კაცებს, რომ, როდესაც მოგვეთხოვენ, თფილისში უნდა წავიდეთო. როდესაც შევეკითხეთ რათ გვეჭიროება ცალკე ჩვენი პოლკებიო, პასუხათ ამას გვეუბნებიან: დღეს, რადგანაც ომი არის და მტერთან ბრძოლა გვინდა, ამიტომ უნდა გვყავდეს ჩვენი პოლკები, თვარა თუ არ გვეყოლა ჩვენი პოლკები, მაშინ საქმე გვლახათ წაგვივაო. შეიძლება დღეს თუ ხვალ კავკასის ფრონტი ქვ დაგვიტოვონ სხვადასხვა ნაციის ხალხმა და მაშინ ჩვენ უნდა დავიცვათ ჩვენი სამშობლოვო—მორჩა და გათავდა! მიზეზიც ამნაირი უნდა! რატომ ავიწყდებათ ის, რომ ასეთი განხეთქილების გამომწვევის მიზეზი სწორეთ მათი აზრი და მოქმედებაა არის. ავიღოთ მაგალითად. ჩვენ თფილისში წავედით ჩვენი პოლკის შესადგენათ, ამას სხვა ნაციის ხალხიც მიბაძავს და ასე ამ ნაირათ, მთელი ჩვენი ფრონტი დაიცლება. და ამ შემთხვევით მტერი ისარგებლებს, დაიღუპება ჩვენი რევოლუცია და ჩვენი თავისუფლებაც და სამშობლოც. არა, ამხანაგებო, ჩვენ ასე ვერ ვუშველით ჩვენს საქმეს. ჩვენ დღეს პოლკებიც გვყავს, მტერსაც წინ ვუდგევართ და ამ შეერთებულის ძალით შევსძლებთ დავიცვათ რუსეთის რევოლუცია და თავისუფლება. დღეს მიწვე-მოწვევას ადგილი არ აქვს; და მომავალში, საერთო გამარჯვების შემდეგ, თუ საჭირო იქნება, პოლკიც ჩვენი გვეყოლება და ამხანაგობაც ყველა ერებთან გვექნება. ჯერ-ჯერობით ცალკე პოლკების შედგენა საჭირო არ არის. დღეს ჩვენთვის აუცილებელია, თავისუფლების დაცვა. ამის მიხედვით ყველა რევოლუციონური ჯარის კაცის მოვალეობას შეადგენს, რომ მან მოიხადოს სამშობლოს და ქვეყნის წინაშე თავისი მოვალეობა. ამისთვის თითეული ჩვენგანი მზათა ვართ და, პოლკებიც შედგენილი გვყავს, მასთან ამ საერთო ბრძოლაში ყველა ნაციებს მჭიდრო კავშირი უნდა გვქონდეს და, გვქვს კიდეც. ამით ჩვენ გადავარჩენთ მრავალ მტრებისაგან ჩვენს ბრწყინვალე თავისუფლებას. შემდეგ კი მოვესწრებით საქმის მოწყობას—საჭიროთ თუ ვინახავთ,—ქართულ პოლკებს შევადგენთ. უკეთესი იქნება რა თქმა უნდა, მუდმივ ჯარს თუ სამუდამოთ მოვსპობთ და მილიციას დავაწესებთ. თუ შევსძლებთ ეს ყველაზე უკეთესი იქნება.

ჯარისკაცი ერმილე მკუხელი.

ხარიჯამიში. 5 სექტემბერს კრებაზე მივეწვიეთ გვითხრეს სოც.-დემ. რაიონის პარტიის წევრთა კრებაა. რომ მივედით კრებაზე, იქ აღმოჩნდნენ ფედერალისტები. ახლაც არ ვიცი, ვის ან რათ დასჭირდა ასე მოტყუებით ხალხის მოწვევა. ჩემის აზრით პროტესტის ღირსია.

ჯარისკაცი ზემო აკუთელი.

ძ. ხნის-კალა. მიჯინგოთში, ორი ვერსის მანძილზე ხონიდან, სდგას მე-7 როტა. არც ესენი ჩამორჩნენ სხვებს ამ რევოლუციონურ ხანაში, აქ დაარსეს უფასო წიგნთ საცავ სამკითხველო, სადაც მოგვეპოვება 450-მდე სხვადასხვა წიგნები. მოგვდის ქუთაის გაზეთები: სამი ცალი „ერთობა", ერთი ცალი „იმედის მთოხი", „ჰორიზონი" და „რუსსკოე სლოვო". ეხლა დაარსეს როტაში კოოპერატივი. დააწესეს საწევრო პაი 5 მანეთი, რის სახით შეიკრიბა 1,120 მანეთი და გაგზავნეს სამი კაცი საქონლისათვის ქალაქში. კოოპერატივისთვის შენობა უკვე მზათ არის.

ჯარისკაცი მალხაზი გ. ფარულავა.

ხოჯაბულახი (სპარსეთი). ამ ბოლო დროს, აქ ქართულ მსროლელ პოლკში გადმოიყვანეს ყოფილი ჟანდარმის აფიცერი კაპიტანი ბალაჩნძე, რომელიც ვერ არის სანდო პირი, და მის ცინბობას არც არავინ არ ჰყავს. მასთან ერთად გადმოიყვანეს ყოფილი პოლიციელი მიტროფანე ჩიჩილოვი; ორივე ეს ერთ-ერთნი საპასუხისმგებლო თანამდებობას ასრულებენ. მიკვირს, რატომ ამ გარემოებას ყურადღებას არ აქცევს პოლკის კომიტეტი?

ჯარისკაცი გ.

ანგარიში

თფ. ორგან. რ. ს.-დ მ პარ. მეორე რაიონის კოლექტივისა. პირველ მაისიდან პირველ სექტემბრამდე—1917 წ.

შემოსავალი:

	მან. კ.
მაისი.	
შემოსასვლელი გადასახადი	301—40
საწევრო „	600—00
შემოწირულება	35—48
	936—88
ივნისი.	
დარჩა კასაში 1 ივნისისათვის	669—63
შემოსასვლელი გადასახადი	692—80
საწევრო „	1040—00
წარმომდგენიდან შემოსული	210—00
	2612—43
ივლისი.	
დარჩა კასაში 1 ივლისისათვის	2302—98
შემოსასვლელი გადასახადი	262—00
საწევრო „	1000—00
წიგნების გაყიდვ. შემოსული პროც.	144—50
გაზეთების გამოწერიდან „ „	57—05
წარმომდგენიდან შემოსული	100—00
	3866—53
აგვისტო.	
დარჩა სასა 1 აგვისტოსათვის	3084—08
შემოსასვლელი გადასახადი	50—00
საწევრო „	320—00
გაზეთების გამოწ. შემოსული პროც.	27—00
წარმომდგენიდან შემოსული	600—00
სულ	4081—08

გასავალი:

	მან. კ.
მაისი.	
საკანცელარიო ხარჯები	56—85
ინვენტარის შესაძენათ	110—40
მდივნის ჯამაგირი	100—00
რჩება კასაში 1 ივნისისათვის	669—63
	936—88
ივნისი.	
საკანცელარიო ხარჯები	16—30
სასტუმბო	46—00
ინვენტარის შესაძენად	29—65
მოსამსახურეთა ჯამაგირები	217—50
რჩება კასაში 1 ივლისისათვის	2302—98
	2612—43
ივლისი.	
საკანცელარიო ხარჯები	11—85
სასტუმბო	42—00
საოლქო კომიტეტს საპროცენტო გადასახადი	500—00
ინვენტარის შესაძენათ	1—60
მოსამსახურეთა ჯამაგირები	215—00
თფილისის კომიტეტის ვალი	12—00
რჩება კასაში 1 აგვისტოსათვის	3084—08
	3866—53
აგვისტო.	
თფილისის კომიტეტს საპროცენტო გადასახადი	1000—00
საკანცელარიო ხარჯები	19—00
სასტუმბო	42—00
ტელეფონის გამოყვანა	117—15
ინვენტარის შესაძენად	32—00
მოსამსახურეთა ჯამაგირები	243—00
რჩება კასაში 1 სექტემბრისათვის	2627—93
სულ	4081—08

მდივანი ხინაურიძე.

პროვინციის ცხოვრება

ბათუმი. 10 სექტემბერს შესდგა საგანგებო კონფერენცია. მოწვეულნი იყვნენ: მუშათა და სალდათთა საბჭოს და ქალაქის თვითმართველობის შემადგენლობანი, ყველა პოლიტიკური პარტიების კომიტეტის წევრები და კოოპერატივთა, და პროფესიონალური კავშირების წარმომადგენლები. თავმჯდომარეობს ამხ. მალხაზოვი. მომხსენებლათ გამოდიან ამხ. გ ანჯაფარიძე (ს. დ.) და ბულდაკოვი (ს. რ.) ანჯაფარიძე ვრცლათ ახასიათებს სხვადასხვა ჯგუფების პოზიციას რევოლუციაში, ჩერდება 3—5 ივლისის ამბებზე, მოსკოვის თათბირზე, დაბოლოს კორნილოვის ავანტიურას ვრცლათ არკვევს, ის მოითხოვს გადაჭრით გამიჯვნას ცენზიანი ელემენტებისაგან, ადგილების ყველა დემოკრატიულ და სოციალისტურ ძალების კოალიციას და ძალაუფლების მათ ხელში გადასვლას. ბულდაკოვის აზრით დამფუძნებელი კრება ამდენ ხანს თუ დაიხურებოდა იყო, ეხლა ის პირდაპირ საჭირებო მოთხოვნილებაა. დამფუძნებელი კრება ერთი დაკვრით ყველაფერს ვერ გაარიგებს, მაგრამ ის იხსნის ქვეყანას რყევისაგან. სახელმწიფო დუმის, ამ ძველი რეჟიმის ნაშთის, ეხლავე დათხოვნა აუცილებელია. მოხსენებათა შემდეგ გადაწყდა, თითო ფრაქციას მიეცეს მხოლოდ თითო ორატორის გამოყვანის უფლება ლაპარაკობს ცხრა ორატორი. ყველა იმ აზრს ატარებს, რომ დადგა დრო, როცა მთელი მართვა გამგეობა დემოკრატიის ხელში უნდა გადავიდეს. ქალაქის თავი ამხ. სახისტარიშვილი ლაპარაკობს სასურსათო საკითხის შესახებ და მოითხოვს მიმდინარე პურის გაძვირების მიზეზ[illegible] წმინდა [illegible] ნოვი. მისი [illegible] თიბას იწვევს და დარბაზში ხმაურობაა. მას უპასუხებს ბულდაკოვი. სხვათა შორის ის ამბობს: „მოქალაქე ლიაკინოვი გვეუბნება, დემოკრატია უფსკრულის წინ დგას და ჩვენ რომ უკან არ ვწევდეთ გადაიჩეხებაო. ნამდვილათ კი, საუკუნოების განმავლობაში განაწამები დემოკრატია უფსკრულიდან ეხლა ამოდის, და როცა ის საძნელო აღმართზედ მიემართება, კადეტები მძიმე ლოდივით უკან ჩამოჰკიდებიან და გასაქანს არ აძლევენ. ტრაპიზონის საბჭოს წარმომადგენელი აღნიშნავს, რომ იქაურმა საბჭომ ისეთივე რეზოლუცია მიიღო, როგორიც თფილისისამ. შემდეგ მიღებულ იქნა კადეტების წინააღმდეგ ერთხმათ შემდეგი რეზოლუცია: „კორნილოვის კონტრ-რევოლუციონურმა ავანტიურამ დღის წეს რიგში ძლიერი რევოლუციონური მთავრობის შედგენა წამოაყენა. კადეტების პარტიამ და სხვა ბურჟუაზიულმა ელემენტებმა კორნილოვის ავანტიურასთან დამოკიდებულებით გამოაამჟღავნეს თავიანთი კონტრ-რევოლუციონური არსება და მით გამოირიცხეს თავი რევოლუციის მამოძრავებელ ძალთაგან. ამიტომ მათ არ უნდა დაურჩეთ ადგილი მომავალ დროებით მთავრობაში. ახალი მთავრობა უნდა შეადგინოს დემოკრატიულმა თათბირმა, ეს მთავრობა უნდა დაეყრდნოს აღნიშნულ თათბირს და უნდა იყოს მის წინაშე პასუხისმგებელი. უპირველესი მიზანი მთავრობისა უნდა დარჩეს: მოწვევა დამფუძნებელ კრებისა დანიშნულ დროზედ, კ. ჩხეიძის მიერ მოსკოვის თათბირზე გამოქვეყნებულ დეკლარაციის ცხოვრებაში გატარება, სიკვდილით დასჯის მოსპობა, მემარცხენე მიმდინარეობათა და პრესის მიმართ წინადმდეგ რეპრესიების შეწყვეტა და დაუყოვნებლივ დათხოვნა სახელმწ. დუმის და საბჭოსი, რომლებიც კონტრ რევოლუციის კერაა". ეს რეზოლუცია მაშინვე დეპეშით გაეგზავნა პეტროგრადში ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს.

ზ—რთ.

ცნობები

ჯარის-კაცთა შესახებ.

ჩხიროულის საზოგადოების სოფელ ცეცხის მცხოვრები დავით ამირანის ძე ცუცქირიძე 7 იანვარს ამა 1917 წელს წავიდა ქუთაისის სამხედრო უფროსთან გამოსაცხადებლად და მას შემდეგ მის შესახებ არავითარი ამბავი არ იცის მისმა ცოლშვილმა, სად რომელ ფრონტზე იმყოფება. ვთხოვთ თუ ვინმემ რამე იცის მის შესახებ, აცნობოს ზემო ხანბულ საზოგადოების აღმასრულებელ კომიტეტის თავმჯდომარეს დარისპან ცუცქირიძეს შემდეგი მისამართით: Чiатуры въ сел. Цецки.

— ჯარისკაცი ერასტო ალექსანდრეს ძე ხუფთასი (სოფ. ჩიბათი, ოზურგ. მაზრა), მსახურებდა ქართველ მსროლელთა პოლკში, მე 3 ბატალ., მე 12 როტაში, მე-4 ვზვოდში, თუ ვინმემ რამე იცის გვაცნობოს შემდეგი მისამართით: კავკასიის არმია, მე-14 მუშათა ბატალიონი, მე-7 როტა, მალხაზი გ. ფარულავა.

— ჯარის კაცი ლავრენტი დავითის ძე მსხილაძე მსახურებდა მე-268 გორიგის პოლკში, მე 7 როტაში; გთხოვთ თუ ვინმემ რამე იცით მის შესახებ გვაცნობოთ შემდეგი მისამართით: Грузинскiй стрѣлковый полкъ 2-я пулеметная команда 3 взводъ, Николаю Мсхиладзе.

— ჯარისკაცი სევერიანე თედორეს ძე ლეკვეიშვილი მსახურებდა კავკასიის სათადარიგო ჯარში მე-7 კავკასიის მსროლელ დივიზიაში, დივიზიის ლაზარეთში. თუ ვინმემ რამე იცის მის შესახებს გვაცნობეთ შემდეგი მისამართით: თფილისი, მთავარი რკინის გზის სახელოსნო სამჭედლო ცეხი—კოსტა ლეკვეიშვილს.

— ჯარისკაცი ნიკიფორე, იგივე ხუმა გუჯუს ძე ლაბარია, ზუგდიდის მაზრა ს. ხეთის საზოგადოების მცხოვრები, მსახურებდა ქალაქ ბაქოში, მე-279 ქვეითა სათადარიგო პოლკში, მე 14 როტაში, მე-2 ვზვოდში, 6 თვეა, რაც მის შესახებ არა ვიცით რა; გთხოვთ თუ ვინმემ რამე იცით მის შესახებ გვაცნობეთ შემდეგი მისამართით: сел. Хета Зуг. уѣз. Кут. губ. Ехтиму Б. Шелiя.

ექიმის თანაშემწე
ვლ. ი. თავართქილაძე
ღებულობს ავადმყოფებს ყოველ-დღე საღამოს 4—6 საათამდე. ყვავილის აცრა, კანს ქვეშ წამლის შეშხაპუნება, მასსაჟი და ელექტრიზაცია. ტფილისური ქუჩა, № 4

ექიმი მ. გ. ვეფხაძე
ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორად ნამყოფი იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 ნახ. საათამდე, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიკინის ქუჩა, № 19.

ექიმი
დ. ვ. ჯავახიშვილი
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფებს ყოველ დღე კვირის გარდა, საღ. 5—7 საათამდის, გუნიბის ქ. № 41.